# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

№142 (9822) 2024 წლის 11 დეკემბერი. ოთხშაბათი

ფასი 1 ლარი


## სუს-ი გვაფრთხილებს!

### ადამიანთა მსხვერპლით საპროტესტო მუხტის გამძაფრებას აპირებენ!




## სამართლის დაცვა და აღსრულება ქართული სახელმწიფოს ფუნდამენტია!

2-4



რობერტ ადარი

## მტკვრის ნაპირებიდან წმინდა მიწამდე

7

ახლა უშენოდ აქეთ-იქით
ცოდვებს დავათრევ,
შენზე ვლოცულობ,
ჰატიებას შენგან მოველი,
ღმერთო, ნუ მომკლავ,
ერთხელაც რომ არ ჩამახუტო,
ჩემი თბილისი,
ჩემი სულის სვეტი ცხოველი!

**ირანისა და რუსეთის პასიურობა სირიაში მიმდინარე მოვლენებში ბადებს ეჭვს, რომ სირიის შესახებ მხარეები გარიგდნენ (პირდაპირ თუ ირიბად) და ეს გამოჩნდება მაშინვე, როგორც კი მხარეები სირიის ტერიტორიას გადაინაწილებენ.**



8

## როგორ შეიძლება, განხორციელდეს სირიის სცენარი საქართველოში?!

ვაჟა ოთარაშვილი

## საქართველოს ეკლესიის ისტორიის მუხლჩაუხრელი მემატიანე

5





ივანე ჯაფარიძე

## ებრაელთათვის განწირული სიცოცხლე

6

## რუსეთში კეზერაშვილთან დაკავშირებული ქოლ-ცენტრები აღმოაჩინეს

11

### ჩვენი ოჯახის უროლოგი



## ცისტიტის შემოტევის „ორი ასაკი“

არჩილ ჩხოტუა

9

## მოვსარ ევლოევი ილია თოფურიას პატივს სცემს და ქამარს ედავება



10



# პარლამენტში 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი განიხილეს

## ლაშა ხუციშვილი: 2025 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები — 27 მილიარდ 561 მილიონი ლარი, ასიგნებები 27 მილიარდ 941 მილიონ ლარზე მეტია!

**2025 წლის ბიუჯეტის პროექტით სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების ჯამური მაჩვენებელი 27 მილიარდ 561 მილიონი ლარის ოდენობით განისაზღვრა, რაც მიმდინარე წლის დამტკიცებული გეგმით გათვალისწინებულ მაჩვენებელთან შედარებით, გაზრდილია 2 მილიარდ 991 მილიონი ლარით.**

შემოსავლების ჯამური მაჩვენებელი 23 მილირად 435 მილიონ ლარამდეა, რაც 2024 წლის გეგმასთან შედარებით, გაზრდილია 2 მილიარდ 700 მილიონ ლარზე მეტით;

არაფინანსური აქტივების კლების, ანუ პრივატიზაციის სახით მისაღები თანხების გეგმა შეადგენს 300 მილიონ ლარს;

ფინანსური აქტივების კლების, ანუ სესხების დაბრუნების მაჩვენებელი განისაზღვრა 400 მილიონი ლარის ოდენობით;

ვალდებულებების ზრდის სახით მისაღები სახსრები განისაზღვრა 3 მილიარდ 426 მილიონი ლარის ოდენობით;

ბიუჯეტი ითვალისწინებს ვალის დაფარვას 1 მილიარდ 410 მილიონი ლარის ოდენობით, შესაბამისად, ვალდებულებების წმინდა ზრდა 2 მილიარდ 10 მილიონ ლარამდეა.

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს, ასიგნებების მოცულობა 2024 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით, იზრდება 2 მილიარდ 911 მილიონი ლარით და შეადგენს 27 მილიარდ 941 მილიონ ლარზე მეტს.

საქართველოს პარლამენტში 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვისას, ფინანსთა მინისტრმა ლაშა ხუციშვილმა ისაუბრა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთვის გათვალისწინებულ დაფინანსებაზე და აღნიშნა, რომ მისი მოცულობა 3 მილიარდ 125,0 მლნ ლარია.

მუნიციპალიტეტები 2025 წელს დღგ-ის სახით დამატებით 100 მილიონ ლარზე მეტს მიიღებენ.

2025 წელს კულტურის სამინისტროს დაფინანსება 298 მილიონ ლარამდეა, სპორტის სამინისტროს – 298 მილიონ ლარზე მეტია;

2025 წელს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაფინანსება 808 მილიონი ლარია;

2025 წელს ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტისთვის საჭირო წყლის ინფრასტრუქტურის მშენებლობისთვის გამოყოფილია 150 მილიონი ლარი;

2025 წელს 10%-ით იზრდება მანდატურებისა და საჯარო სკოლების ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ხელფასები.

ფინანსთა მინისტრ ლაშა ხუციშვილის განცხადებით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ასიგნებები განისაზღვრა 8 მილიარდ 820 მილიონი ლარის ოდენობით, რაც 2024 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით, გაზრდილია 990 მილიონ ლარზე მეტით.

2022 წელს საჯარო მოხელეთა ანაზღაურების მარეგულირებელ კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, 2025 წელს გათვალისწინებულია საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულთა ანაზღაურების 10%-იანი ზრდა.

**ეს ციფრები ყოველგვარი კომენტარის გარეშეც ერთობ შთამბეჭდავია!..**

# ისმინეთ ყველამ!

## დანაშაულის ორგანიზატორთა მიერ განიხილება მიმდინარე კვირაში ვითარების მაქსიმალურად დაძაბვა, რასაც უნდა მოჰყვეს ორი-სამი ადამიანის მსხვერპლი, აღნიშნულით შეეცდებიან საპროტესტო მუხტის გაზრდას!

**აქციების საპროტესტო მუხტის კლებისთანავე, აქტიურდება დანაშაულებრივი გეგმის განმახორციელებელ ადგილობრივ აქტორთა გარკვეული ჯგუფი, რომელთა მიზანია მოსახლეობაში საპროტესტო მუხტის ხელოვნურად გაზრდა, რაც მათი აზრით, გამოყენებულ უნდა იქნეს ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობისთვის!!!**

სახელმწიფო უსაფრთხოებისა და მოქალაქეთა მშვიდობიანი თანაცხოვრების ინტერესებიდან გამომდინარე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში მიმდინარე, სახელმწიფო ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობის ფაქტზე დაწყებულ საქმეზე, გამოძიების მიერ მოპოვებული მასალები წარსულში არაერთხელ გავუზიარეთ საზოგადოებას. გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისში, პარლამენტის შენობასთან მიმდინარე აქციების საპროტესტო მუხტის კლებისთანავე, აქტიურდება დანაშაულებრივი გეგმის განმახორციელებელ ადგილობრივ აქტორთა გარკვეული ჯგუფი, რომელთა მიზანია მოსახლეობაში საპროტესტო მუხტის ხელოვნურად გაზრდა, რაც მათი აზრით, გამოყენებულ უნდა იქნეს ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობისთვის. აღნიშნულის ნათელი დასტურია, მილევადი საპროტესტო მუხტის პარალელურად, საგულდაგულოდ შენიღბული პირების მიერ სამართალდამცავებსა და მშვიდობიან მოქალაქეებზე გახშირებული ძალადობრივი აქტები, როგორც საპროტესტო ლოკაციებზე, ისე მის მიღმა. განსაკუთრებით საყურადღებოა ერთ-ერთი ტელევიზიის ჟურნალისტებზე განხორციელებული თავდასხმა, რაც ჩვენს მიერ განიხილება აღნიშნული დანაშაულებრივი გეგმის ერთ-ერთ სავარაუდო ეპიზოდად, რომელიც საბედნიეროდ მსხვერპლის გარეშე დასრულდა. მიმდინარე საქმეზე გამოძიებას აწარმოებს სპეციალური საგამოძიებო სამსახური. აქვე ვაცხადებთ მზადყოფნას აღნიშნულ სამსახურთან აქტიური თანამშრომლობის შესახებ, რათა უმოკლეს ვადებში მოხდეს საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა.

მიღებული ინფორმაციით, აღნიშნული დესტრუქციული და დანაშაულებრივი ქმედებების ორგანიზატორები გეგმავენ, 2024 წლის 14 დეკემბერს, საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების პროცესი არ შედგეს და ყველა გზით ხელი შეუშალონ საქართველოს მეექვსე პრეზიდენტის არჩევას, რაც ხელოვნურად გამოიწვევს სახელისუფლებო კრიზისს. ამ მიზნით, დანაშაულის ორგანიზატორთა მიერ განიხილება, განსაკუთრებით მიმდინარე კვირის სამშაბათს, ოთხშაბათს და ხუთშაბათს, აგრეთვე, ნაწილობრივ პარასკევს სიტუაციის მაქსიმალურად დაძაბვა, რასაც უნდა მოჰყვეს 2-3 ადამიანის მსხვერპლი. აღნიშნული მსხვერპლშეწირვით შეეცდებიან საპროტესტო მუხტის გაზრდას, რადიკალური განწყობების წახალისებას, რაც მათი განზრახვით უნდა გადაიზარდოს უმართავ პროცესებში და შენიღბული გზით დაბრალდეს ხელისუფლებას. აღნიშნული პროცესების განხორციელებას უზრუნველყოფენ ადგილობრივი აქტორები, უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურების კოორდინაციით. არსებული გეგმა ვითარდება ე.წ. „ფერადი რევოლუციებისთვის“ დამახასიათებელი აპრობირებული სცენარებით, მათ შორის, სხვადასხვა რიტუალური სცენებითა და ეტაპობრივი დესტრუქციით, რომლის კულმინაციას წარმოადგენს მშვიდობიანი მოქალაქეების მკვლელობა, რაც მთლიანობაში ხელს შეუწყობს მოვლენათა ესკალაციას.

აღნიშნულს ადასტურებს, ბოლო დღეებში, სახეშენიღბული დესტრუქციული ჯგუფების მიერ გარე მეთვალყურეობის კამერების დაზიანების ფაქტები, როგორც პროტესტის არეალში, ისე მის მიმდებარე ტერიტორიებზე, რაც ემსახურება ერთადერთ მიზანს, რომ დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენის შემთხვევაში, გართულდეს დანაშაულის ჩამდენ პირთა იდენტიფიცირება. მოვუწოდებთ მოსახლეობას, გამოიჩინონ მაქსიმალური სიფრთხილე, რათა ნებსით თუ უნებლიეთ არ გახდნენ დანაშაულებრივი გეგმის მონაწილე ან მსხვერპლი. ამასთან, პირადი უსაფრთხოების დაცვის ფარგლებში, შეეცადონ, ნებისმიერი საეჭვო ვითარება თუ პროვოკაციის მცდელობა დააფიქსირონ მათ ხელთ არსებული სხვადასხვა ტექნიკური საშუალებით და დაუყოვნებლივ მიმართონ შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს!

**სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური.**

10 დეკემბერი, 2024

# ირაკლი ზარქუა ევროკომისიის ანგარიშზე

**გვთხოვენ ლგბტ პროპაგანდის წინააღმდეგ მიღებული კანონის უკან გაწვევას, ეს არ მიიღოთო და გამჭვირვალობის კანონიც უკან გაიწვიეთო. ამას გვემუქრებიან და გვაშანტაჟებენ, – განაცხადა დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ, საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ირაკლი ზარქუამ ევროკომისიის ანგარიშზე საუბრისას.**



„არ გავიწვევთ, რადგან ლგბტ პროპაგანდა ჩვენს ქვეყანას და ქართველებს არ სჭირდებათ და აქ ერი და ბერი ერთიანი ვართ. რაც შეეხება გამჭვირვალობას, ჩვენ ვნახეთ, მესამე თუ მეოთხე თვეა და – რომელიმე ახალგაზრდას შეუწყდა დაფინანსება ან სწავლა, რომელიმე სოფლის მეურნეობის მიმართულებით რომელიმე პროექტი შეჩერდა? ინფრასტრუქტურა გაჩერდა?..

არა!

ჩვენ დავიცავთ ქვეყნის ინტერესებსაც, ქართველების ინტერესებსაც, რელიგიასაც, მართლმადიდებლობასაც და ვამაყობთ ამ ქვეყნით“, – აღნიშნა ირაკლი ზარქუამ.



# გაყოფილია როდესაც ერი...



ლაშა ნადარეიშვილი

გაყოფილია
როდესაც ერი,
ქვაფენილს სისხლით
მორეცხავს მტერი...
და ქალაქების
მაგივრად — მტვერი,
და გულის ნაცვლად —
გულის ნამტვრევი.
გაყოფილია
როდესაც აზრი,
დაკარგავს ერი,
როდესაც საზრისს,
რჩება ამარა
ცარიელ მასრის,
დებენ ქვეყანას
დახლებზე გაზრის.

გაყოფილია
როდესაც ჟამი
ქვის შეგროვებად
და სროლად ქვების,
მაჩუქე, ღმერთო,
ის ერთი წამი —
გზად სიყვარულის
გადმოსაფრქვევი.

# „გაუმჭვირვალე“ ფულის ფარულად ხარჯვის სურვილი

**არასერიოზული ხდება ევროკომისიასთან ჩვენი დამოკიდებულება. ამდენ თავის ტკივილს, რასაც ევროკომისია თავისთვის და ჩვენთვის იჩენს, ხომ სჯობდა, ევროკავშირს ეთქვა, რომ გამჭვირვალობის პრობლემა არ აქვს და უზრუნველყოფს, რომ მისი დაფინანსება გამჭვირვალე იქნება. რა აქვს დასამალი ევროკავშირს? რატომ მალავენ? რატომ არის ასეთი დიდი სურვილი, რომ დამალონ თანხები? არადა დამალულია, ევროპის დემოკრატიის ფონდი, რომელიც ევროკავშირისგან ფინანსდება, ფარულად აფინანსებს რადიკალურ პარტიებს, ახლა უკვე ექსტრემისტულ ჯგუფებს, პოლარიზაციას და ტერორს საქართველოში. მათ შორის ევროპის დემოკრატიის ფონდი აფინანსებდა მოლოტოვის კოქტეილის რომანტიზების კამპანიას, რომელსაც ორგანიზაცია „სირცხვილია“ ეწეოდა. ამან მოგვიტანა შედეგი, რომ ის ერთი მოლოტოვი, რომელიც შარშან გაისროლეს, დღეს იქცა ხუთად!**

აი ამ, ევროკავშირისგან დაფინანსებულმა მოლოტოვის კოქტეილის რომანტიზებამ მიიყვანა ეს მოძალადეები და ჩვენი საზოგადოება აქამდე. ამიტომ, რა თქმა უნდა, ევროკავშირიდან მოდის ფული, რომლითაც საქართველოში კეთილი საქმე არ კეთდება და მინიმუმი, რაც ევროკავშირმა უნდა უზრუნველყოს, ამ ფულის გამჭვირვალობაა. როდესაც მალავ, ესე იგი რაღაცას არასწორად ან არასასიკეთოდ აკეთებ და ეს არის მთავარი.



დავაკვირდეთ ერთ რამეს: იმას კი არ ამბობენ ხოლმე, რომ რაღაც რეგულაცია შეიძლება ასე ან ისე იყოს, არამედ პირდაპირ კატეგორიულად ამბობენ, რომ საერთოდ არ არსებობდეს არანაირი გამჭვირვალობის კანონმდებლობა და ყველაფერი იყოს დახურული. პირდაპირ გაუქმებაზეა ხოლმე საუბარი, ეს მოწოდება კი აღძრავს ეჭვს, რომ სინამდვილეში, ამის უკან ფინანსების ფარულად ხარჯვის სურვილია.

**შალვა პაპუაშვილი.**

# აფხაზეთში შუქი დღეში მხოლოდ 4 საათი და 40 წუთი ექნებათ

**დროებით ოკუპირებულ აფხაზეთში ელექტროენერგია დღეში მხოლოდ 4 საათი და 40 წუთი ექნებათ. ახალი გრაფიკით, მთელ ტერიტორიაზე დენი 7 საათით გაითიშება, გვიან ღამის საათებში კი გათიშვა არ იგეგმება.**

დე ფაქტო მთავრობის ინფორმაციით, აფხაზეთის სკოლებში საგაკვეთილო საათების შემცირება 45 წუთიდან 35-მდე იგეგმება. ანალოგიური სიტუაციაა საბავშვო ბაღებში.

გალისა და ტყვარჩელის ე.წ. ხელმძღვანელების ინფორმაციით, კრიტიკული ვითარებაა საავადმყოფოებში. იმისთვის, რომ ტყვარჩელის საავადმყოფომ იმუშაოს, თვეში 2 მილიარდი რუბლია საჭირო, აღნიშნული თანხა კი ე.წ. ბიუჯეტში არ არის.

რაც შეეხება გალის საავადმყოფოს. იქ არ მუშაობს ულტრაბგერითი აპარატი, რენტგენის აპარატი და დიაგნოსტიკისთვის საჭირო სხვა აღჭურვილობა.

ცნობისთვის: რუსეთმა ოკუპირებულ აფხაზეთს დაფინანსება შეუჩერა. ამასთან, მოსკოვი დე ფაქტო მთავრობას ელექტროენერგიას უფასოდ აღარ აძლევს.

აფხაზეთში, სადაც გაზიფიცირება არ არის, მოსახლეობა გათბობას დღეში მხოლოდ 4 საათი შეძლებს.

# კანონის უზენაესობის ინდექსით საქართველო 49-ე ადგილზეა!

**კანონის უზენაესობის 2024 წლის ინდექსით საქართველო მსოფლიოში 49-ე ადგილზეა.**

შესაბამის ანგარიშს ამერიკული ორგანიზაცია **World Justice Project** აქვეყნებს, რომლის შტაბ-ბინა ვაშინგტონში მდებარეობს.

ანგარიშში 142 ქვეყანა შეფასებულია რვა მაჩვენებლის მიხედვით, ესენია – სამთავრობო ძალაუფლებების შეზღუდვები, კორუფციის არარსებობა, ღია მმართველობა, ფუნდამენტური უფლებები, წესრიგი და უსაფრთხოება, კანონის აღსრულება, სამოქალაქო მართლმსაჯულება, სისხლის სამართალი.

რეიტინგში მოწინავე ხუთეული ასე გამოიყურება: დანია, ნორვეგია, ფინეთი, შვედეთი, გერმანია.

ამასთან, კანონის უზენაესობის ინდექსით უკრაინა 88-ე ადგილზეა, ხოლო მოლდოვა – 64-ზე.

# ისრაელის სახმელეთო ჯარი 1973 წლის შემდეგ პირველად შევიდა სირიაში!

**„ნიუ იორკ თაიმსის“ ცნობით, ისრაელელმა სამხედროებმა ორ ქვეყანას შორის მდებარე დემილიტარიზებული ზონა გადაკვეთეს და დაიკავეს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პოზიციები გოლანის მაღლობებზე.**

მანამდე, ისრაელის პრემიერი-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ განაცხადა, რომ უბრძანა სამხედრო ნაწილებს, დაიკავონ ბუფერული ზონა ისრაელსა და სირიას შორის.

ისრაელის ავიაციამ დარტყმები მიიტანა სირიაში მდებარე სამხედრო ობიექტებზე. ოფიციალური პირების თქმით, ეს ობიექტები შესაძლოა, გადასულიყო ექსტრემისტების ხელში.

8 დეკემბერს კომენდანტის საათი გამოცხადდა სირიის 5 დასახლებაში, რომლებიც ბუფერულ ზონაში მდებარეობს.

**ცნობისთვის, ისრაელმა გოლანის მაღლობები 1967 წლის ომის დროს დაიკავა და ამ ტერიტორიის დიდი ნაწილის ანექსია 1981 წელს მოახდინა. 2019 წელს დონალდ ტრამპმა ამ ტერიტორიაზე ისრაელის სუვერენიტეტი აღიარა.**

# მამუკა მდინარაძე: ნაცების დამფინანსებლებს რუსეთში ქოლ-ცენტრები ჰქონდათ!

**მდინარაძე ეხმაურება გავრცელებულ ინფორმაციას, რომ ევროპის ქვეყნების შემდეგ დავით კეზერაშვილთან დაკავშირებული ქოლ-ცენტრები რუსეთშიც აღმოაჩინეს.**



„იმდენი იძახეს, რუსები, რუსებიო, სანამ რუსული ქოლ-ცენტრებიც თვითონ არ აღმოაჩნდათ – რუსულმა მედიებმაც კი აღიარეს, რომ „ნაცების“ დამფინანსებლებს მათ ქვეყანაში ქოლ-ცენტრები ჰქონდათ. ბოლოს წილებზე ვეღარ დალაგდნენ, როგორც ჩანს.

მერე მომადგება რუსული ქოლ-ცენტრიდან დაფინანსებული ტელევიზიის ჟურნალისტი და „ბატონო მამუკა, უხერხულობას არ გიქმნით ლავროვის განცხადება? – გაბრაზებული სახით მეკითხება“... – წერს მდინარაძე.

# პრემიერის გადაწყვეტილება ევროპას აიძულებს, საქართველოს მეტი პატივისცემით მოეპყროს ანუ ახალგაზრდობას „ეშმაკები“ ეპატრონებიან!

დღის კარიკატურა




„საერთო გაზეთი“ N42



## დავით ზარდიაშვილი:
# ყველაზე უარეს კოშმარშიც კი ნაკლებად წარმოსადგენია, მაგრამ სახელმწიფოს შეუძლია შინაგანი ჯარის, არმიის გამოყენებაც და საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის შემოღებაც

**ამბოხება კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად ისჯება სსკ-ის 315 მუხლით, რაც 18 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. გამოძიება დაწყებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ ამბოხის ორგანიზატორები პასუხისმგებლობას ვერ გაექცევიან, მიუხედავად იმისა, რომ რადიკალები მცდელობას არ აკლებენ პროცესების რადიკალიზაციას.**

**ანალიტიკოს დავით ზარდიაშვილის განცხადებით, თუკი საჭირო გახდა, სახელმწიფოს შეუძლია შინაგანი ჯარის და ბოლოს არმიის გამოყენებაც და სამართლებივი თვალსაზრისით, საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის შემოღებაც.**

# სამართლის დაცვა და აღსრულება სახელმწიფოს ფუნდამენტია!



***— ბატონო დავით, მაინც რა პროცესებს ვაკვირდებით დღეს საქართველოში?***

**დავით ზარდიაშვილი:** პროცესი, რასაც ვაკვირდებით, ერთმნიშვნელოვნად და უდავოდ, გახლავთ ამბოხება კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად. ეს წარმოადგენს სახელმწიფოს წინააღმდეგ უმძიმეს დანაშაულს, გათვალისწინებულს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლით, რაც ამბოხებაში ჩართულობის ხარისხის მიხედვით ამ ამაზრზენი ბოროტმოქმედებისთვის ძალზე მკაცრ სასჯელს ადგენს — 18 წლამდე თავისუფლების აღკვეთას. ყველა, ვინც ამბოხებისკენ არის შეგულიანებული და აპირებს მასში ჩაერთოს, კარგად უნდა აცნობიერებდეს, რომ საკუთარი თავით დიდად რისკავს. ძალზე მაღალია ალბათობა, რომ უმძიმესი ბოროტმოქმედების თანამონაწილე გახდეს და სათანადო სასჯელი „მოიმკას“.

***— ჯერჯერობით „მაიდანი“ ვერ შედგა, მაგრამ ამის რესურსი დარჩა თუ არა ოპოზიციას და რა უნდა დაუპირისპიროს ხელისუფლებამ?***

— ეს წარმოადგენს არა „კლასიკურ“, არამედ პოსტმოდერნულ ამბოხებას. ისევე, როგორც „კლასიკური ომები“ პოსტმოდერნში გარდაისახა ჰიბრიდულ, დიფუზურ და აწ უკვე კოგნიტურ ომებად, ე.წ. რევოლუციებიც — კლასიკურიდან პოსტმოდერნულ ამბოხებებად ტრანსფორმირდა. კლასიკური რევოლუციური სიტუაციის „ფორმულა“ ყველას გვახსოვს: „მმართველ ფენებს აღარ ძალუძთ, ჩაგრულ ფენებს აღარ შეუძლიათ“; პოსტმოდერნული, ე.წ. ფერადი ანუ ფუფლო რევოლუციების (მოგეხსენებათ, ფუფლო — ჭრელია) ფორმულა — მთლიანად იმიტაციაზეა აგებული: რევოლუციურ სიტუაციას ქმნის არა „ჩაგრული უმრავლესობა“, არამედ, როგორც წესი — ყველაზე აგრესიული უმცირესობა, რომელსაც „კოგნიტური დისონანსი“, მენტალური დიფუზია — არეულობა, შემოაქვს უმრავლესობაში, ამ გზით უტევს ხელისუფლებას და ბოლოს ყოველგვარ ლეგიტიმურობას საფუძველს აცლის;

რასაც ახლა ვხედავთ, ორი უმნიშვნელოვანესი გარემოებაა ცხადი: 1. — ეს პოსტმოდერნული აჯანყებაა, რომელიც თავიდან ბოლომდე ინსპირირებულია უცხოეთიდან, პოსტლიბერალური ინტერნაციონალის, ე.წ. გლობალური ომის პარტიის მიერ. მისი განხილვა ორ ჭრილში შეიძლება — როგორც საერთაშორისო აგრესია საქართველოს წინააღმდეგ და ასევე, ადგილობრივი ექსტრემისტული ძალების, რასაც — „ლიბერალური ფაშიზმი“ მართლზომიერად ეწოდა, თუმცა ბოლშევიზმის ელემენტებიც უხვად ახლავს, გენერალური შეტევა საქართველოს სახელმწიფოებრიობის საფუძვლების დასანგრევად.

***— ამბოხის სცენარი რა არის საქართველოში?***

— ამბოხების სცენარი გახლავთ კიევის „მაიდანის“ ანალოგიური და გულისხმობს ორგანიზებული ჯგუფური ძალადობის, რაც პარა-მილიტარისტული საშუალებებით (პეტარდები, მოლოტოვის კოქტეილები, ქვები, შურდულები და სხვ. პარა-იარაღი, რასაც სპეციალურად გაწვრთნილი, ერზაც-სამხედრო მოძალადე დანაყოფები იყენებენ, იქ შეკრებილთა ფსევდო-მშვიდობიანი მანიფესტაციის საფარით) ხორციელდება, შეუქცევად ესკალაციას; კრიტიკული ეტაპი უნდა დადგეს მაშინ, როცა მიღწეული იქნება „საკრალური მსხვერპლი“, რამაც სახელმწიფოს ძალოვან სტრუქტურათა ეროზია უნდა გამოიწვიოს და შედეგად, ხელისუფლების დამხობა. თუ ეს არ მოხდა, სავარაუდო განვითარება პარა-შეიარაღებიდან უკვე რეალურ სამხედრო კონფლიქტად უნდა განვითარდეს და საბოლოოდ, კლასიკური სამოქალაქო ომის სახე მიიღოს.

რაც შეეხება რესურსებს: ყველანი ვხედავთ, რომ პოსტლიბერალური ამბოხების, რაც გასცდა „დიფუზურობის“, ე.ი. ტოტალური მენტალური არეულობის კონსტრუირების საზღვრებს და ფაქტობრივად, „საზრისთა ომის“ სახე შეიძინა, მთავარი რესურსი გახლავთ, რასაკვირველია, სპეციალური დეზინფორმაციული (ნეირო-ფსიქოლოგიური აგრესისია, რაც ტერორის სახეს იძენს), სიმძლავრეები. გამოიყენება დეზინფორმაციის გავრცელების ნებისმიერი საშუალება, ნაცმედია, გაწვრთნილი აგიტბრიგადები თუ ბულინგის, რასაც ქართულად — „დაბეჩავება“ ჰქვია, მიზნით შექმნილი ჯგუფები.

**ერთობლიობაში ისინი სრულად მობილიზებულნი არიან და გამოიყენებიან საომარი მიზნით, რომელთა საზრისია გახდნენ „მასობრივი მენტალური განადგურების ცოცხალი იარაღი“ (მმგი). სწორედ ეს — მმგი გახლავთ მტრის მთავარი რესურსი. რაც შეეხება ფიზიკური ძალადობის ესკალაციისთვის განკუთვნილ მატერიალურ რესურსს: რასაკვირველია, თუკი ხელისუფლებამ საინფორმაციო ველში არ განიცადა სრული კრახი და არ მოხდა მისი „უსიტყვო კაპიტულაცია“, რაც, აბსოლუტურად გამორიცხულია, არანაირი შანსი „პეტარდების რევოლუციას“ არ ექნება.**

***— ვხედავთ, როგორ ძალადობენ რადიკალური დაჯგუფებები სამართალდამცავების წინააღმდეგ, მიზანმიმართულად, დამიზნებით ესვრიან მოლოტოვის კოქტეილებს და ე.წ. პიროტექნიკას. საერთო ჯამში 150-ზე მეტმა ძალოვანმა მიიღო მძიმე დაზიანება. როგორ ფიქრობთ, ეს რა სტრატეგიაა?***

— საქართველოს საპოლიციო ძალებს მოლოტოვის კოქტეილებით, პეტარდებითა და ქვების სროლით, ბუნებრივია, ვერაფერს დააკლებენ. სახელმწიფოს, მოძალადეებთან შედარებით, როგორც ეს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ განმარტა, ამბოხებულებთან შედარებით საპოლიციო ძალებს მატერიალურად გააჩინიათ „ამოუწურავი რესურსი“. აქვე, ესეც ვთქვათ: თუკი საჭირო გახდა, თუმცა ეს ყველაზე უარეს კოშმარშიც კი ნაკლებად წარმოსადგენია, სახელმწიფოს შეუძლია შინაგანი ჯარის და ბოლოს არმიის გამოყენებაც და მაშასადამე, სამართლებივი თვალსაზრისით — საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის შემოღებაც, რაც საფრთხის მასშტაბურობიდან გამომდინარე, თუკი ეს აუცილებელია, მთლიანდ შეზღუდავს შეკრებებისა და მანიფესტაციების, ასევე სიტყვის, ე.ი. მედიის თავისუფლებასაც!

**დარწმუნებული ვარ, ეს საჭირო არ გახდება, თუმცა ასეთი შესაძლებლობაც არსებობს. ამრიგად, ამ ძალადობრივ აქციებს და ესკალაციის მცდელობებს არანაირი პერსპექტივა არა აქვს, თუკი, ვიმეორებ — ამ „მასობრივი მენტალური განადგურების იარაღმა“, რასაც გამაოგნებელი ინტენსივობით იყენებენ, თავისი ბოროტი საქმე არ გააკეთა.**

***— სალომე ზურაბიშვილის როლი არის საინტერესო. აცხადებს, რომ პრემიერი უნდა გადადგეს და არჩევნებს ორ კვირაში თავად დანიშნავს, რაც განმუხტავს ვითარებას. არსებული ინფორმაციით, მეორე ეტაპისთვის ემზადება ოპოზიცია და ეს იქნება 14 დეკემბერი, როდესაც პარლამენტი აირჩევს პრეზიდენტს...***

— საუბედუროდ და სავალალოდ, სალომე ზურაბიშვილი თამაშობს იგივე როლს, რაც ითამაშა სერგო ორჯონიკიძემ. იგი ამჟამად კაბით მოვლენილი გაფრანგებული ორჯონიკიძეა. რასაკვირველია, უკვე არ გვიკვირს და ეს მორიგი განცხადებაც აბსურდულია! მართლაც: თუკი იგი პრემიერ-მინისტრს გადადგომისკენ მოუწოდებს, ამით აღიარებს პრემიერ-მინისტრის მანდატის, ასევე იმ ორგანოს, ე.ი. პარლამენტის, ვინც ეს მანდატი პრემიერ-მინისტრს მიანიჭა, ლეგიტიმურობას, მაშასადამე, ავტომატურად — არჩევნების შედეგებსაც.

გამოდის, მის ამ პოზიციას ყოველგვარი საფუძველი ეცლება. არანაირი სამართლებრივი დასაყრდენი ამგვარ პოზიციას არა აქვს. საერთო სასამართლოს ორმა ინსტანციამ და ასევე, საკონსტიტუციო სასამართლომაც ერთმნიშვნელოვნად დაადასტურა არჩევნების კონსტიტუციურობა და ლეგიტიმურობა. ერთადერთი არგუმენტი, რათა პრემიერ-მინისტრი გადადგეს — ძალადობის ესკალაციის მუქარაა, რაც, საუბედუროდ, საქართველოზე არნახული საგარეო პოლიტიკური ზეწოლის ფონზე უკვე ხორციელდება. ეს არც მეტი, არც ნაკლები გარეშე და შიდა მტრების კოორდინირებული შეტევაა საქართველოს სუვერენიტეტზე, მის სახელმწიფოებრიობაზე. ყველა წესიერი ადამიანის უშუალო მოვალეობაა, მის ხელთ არსებული ყველა საშუალებით დაიცვას სახელმწიფო და სჯული — სიმართლე, სამართლიანობა და სამართალი, არ დაუშვას უსჯულოება და შედეგად მიღებული ქაოსითა და უწესრიგობით გარდაუვალი მორალური თუ მატერიალური განადგურება.

***— პრეზიდენტი და რადიკალური ოპოზიციის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი გამოკვეთილია, როგორ ფიქრობთ, იმ საერთაშორისო ზეწოლის ფონზე, სახელმწიფო წავა რადიკალურ ნაბიჯებზე და დააკავებს იმ ლიდერებს, რომლებიც აქციის მონაწილეების ზურგს უკან დგანან და რამდენად აუცილებელია ეს?***

— სამართლებრივი თვალსაზრისით, ეს აუცილებელია. ყოველმა დამნაშავემ პასუხი უნდა აგოს. ეს არ გახლავთ რაიმე რადიკალური ნაბიჯი, არამედ სახელმწიფოს არსებობის ფუნდამეტური წესია: სახელმიფო სხვა არც არაფერია, თუ არა სამართლის დაცვა და აღსრულება. ყველა დამნაშავე დარწმუნებული უნდა იყოს, რომ სამართლიან მსჯავრს ვერსად წაუვა.

ესაუბრა
**თამთა ქარჩავა**

# პოლიტიკური ნეკროფილია



**რადიკალები რომ სისხლის სუნზე არიან დაგეშილები, პოლიტიკური ნეკროფილია ჰქვია ამას. არც „ნაცმოძრაობის“ დროს გაჟღერებული უკვდავი ფრაზა — „ორი გვამი მინდა“ გაუუქმებია ვინმეს მათი რიგებიდან. ერთიც რომ იყოს, ამაზეც თანახმა არიან და ამისთვის ემზადებიან“, — ამის შესახებ მედიასთან „ხალხის ძალის“ წევრმა დავით ქართველიშვილმა ისაუბრა.**

„აქციებზე რადიკალური განცხადებები კვლავ ჟღერდება, მაგრამ გამორიცხულია ამ მიზნებს მიაღწიონ. არნახულად მეამაყება დღეს ჩვენი სპეცსამსახურებისა და პოლიციელების მუშაობა. შესაბამისად, ნაცმაიდნის მოწყობის მცდელობა არავის არ გამოუვა.

მინდა მივმართო აქციებზე მდგომ ყველა ადამიანს — უბრალოდ, დაუფიქრდით, თუ რას ლაპარაკობს ხელისუფლება. ხელისუფლება მზად არის მოლაპარაკებების გახსნასთან დაკავშირებულ დოკუმენტს დღესვე მოაწეროს ხელი. მაგრამ, იქიდან საპირისპირო არგუმენტი გვესმის — კი, მაგრამ, იქიდან ხომ ორი კანონის — ანტი ლგბტ პროპაგანდის (რომელიც, რეალურად, არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის კანონია) და გამჭვირვალობის შესახებ კანონების გაწვევას ითხოვენო. ამასაც დაუფიქრდით, ახალგაზრდებო — 20 იანვრის შემდეგ, ერთ-ერთი პირველი კანონი, რომელიც აშშ-ის ადმინისტრაციამ უნდა მიიღოს, არის ლგბტ პროპაგანდის აკრძალვის კანონი. იქნება თუ არა ის რუსული? ტრამპმა განაცხადა და ის ამის გამკეთებელია, რომ ამერიკული ჯარიდან და სპორტიდან განდევნის ტრანსგენდერიზმის ცნებას — იქნება თუ არა ეს რუსული გადაწყვეტილება? და მესამე — ტრამპი აპირებს ვიქტორია ნულანდის ფონდების ხარჯვით ნაწილს აუდიტი ჩაუტაროს და გამჭვირვალე გახადოს — **იქნება თუ არა ეს რუსული გადაწყვეტილება? თუ იქნება, მაშინ, ჩათვალეთ, რომ ჩვენც და ამერიკული ადმინისტრაციაც ჩელიაბინსკისკენ მივემართებით“!..**

**დავით ქართველიშვილი**

# საქართველოს ეკლესიის ისტორიის მუხლჩაუხრელი მემატიანე

## მეუფე ანანია ჯაფარიძე — 75



**საქართველოს** მართლმადიდებლური ეკლესიის მაღალი სასულიერო იერარქის – მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის მრავალმხრივი მოღვაწეობის შეფასება, მისი ამაგის წარმოჩენა ადვილი არ არის. ბრწყინვალედ შეაფასა მისი მოღვაწეობა უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ:

**მეუფე ანანია ჯაფარიძემ „ეკლესიური ცხოვრება მაშინ დაიწყო, როდესაც მორწმუნეთა რიცხვი მეტად მცირე იყო და ინტელიგენციაც ათეისტური აზროვნების ტყვეობაში იმყოფებოდა. იგი იმ პირველთაგანია, რომელმაც კომუნისტური რეჟიმის მიერ დაკნინებულ მიმართულებას პროტესტი გამოუცხადა და ნამდვილი ისტორიის აღდგენისთვის უდიდესი ნაბიჯები გადადგა“.**

ამიტომაც ილია II-ის ინიციატივით საქართველოს საპატრიარქოსთან შეიქმნა საქართველოს რეალური ისტორიის დამდგენი მუდმივმოქმედი კომისია მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობის, მანგლისის და წალკის მიტროპოლიტის ანანიას (ჯაფარიძის) ხელმძღვანელობით 2009 წლის 10 ივლისს (ბრძანება N76). ეს არის უდიდესი ნდობაც და პასუხისმგებლობაც მეუფე ანანიასი.

მახსოვს, 90-იან წლებში გამოვიდა მეუფე ანანიას საოცარი წიგნი ფართო საზოგადოებისათვის გასაგებ ენაზე დაწერილი – **„ქართველთა წინაპრების ბიბლიური ისტორია“**, რომელიც ხალხში ხელიდან ხელში გადადიოდა და მაშინვე აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონდაკარგულ ჩვენი მოსახლეობის საყვარელ გამოცემად იქცა საქართველოში. ეს წიგნი მაშინაც და ახლაც ჩემი სულის ნუგეშია.

**„მრავალი ერი გაქრება დედამიწის ზურგიდან, მაგრამ ღვთისმშობლის წილხვედრი იბერია იქნება ქრისტეს მეორედ მოსვლამდე და კაცობრიობის ხსნა იბერიიდან მოვაო“**, ბრძანებდა წმინდა სერაფიმ საროველი. სწორედ, იბერიის ისტორიულ საზღვრებს, ქართული ტომების საერთო, ფსიქიურ წყობა-ერთობას და კულტურას, ქართული ეკლესიის საზღვრების უმნიშვნელოვანეს პრობლემებს ეხება მეუფე ანანიას მრავლისმთქმელი გამოცემები: **„არიან ქართლი – საეპისკოპოსოები ისტორიულ ივერიაში“, „ქალდეა – საეპისკოპოსოები ლაზიკაში“**, მათზე დართული რუკებით. დასახელებული გამოცემები უძვირფასესი შენაძენია ქართველი საზოგადოებისათვის, სადაც სრულიად ახლებურ მიდგომას და გეოგრაფიულ ლოკაციებს გვთავაზობს საქართველოს ეკლესიის ისტორიის მუხლჩაუხრელი მემატიანე – მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე.

არ შეიძლება ცალკე არ გამოვყო მეუფე ანანიას ბრწყინვალე შრომა: **„საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია ჩრდილოეთ კავკასიაში (დაღესტანი, ალანია, ადიღე-ჩერქეზეთი, დურძუკეთი, ჩრდილო კავკასიის სვანეთი (!), ოსეთი, ქისტეთი, ალბანეთი)“**, რომელიც ეფუძნება მდიდარ ქართულ და უცხოურ წყაროებს, ვრცელ სამეცნიერო ლიტერატურას, ჩრდილოეთ კავკასიაში შემორჩენილ ქართული კულტურის არტეფაქტებს. ავტორი ადასტურებს, რომ თემურ-ლენგის შემოსევამდე ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობა წარმოადგენდა საქართველოს ეკლესიის მრევლს, რომელთა მიერ აგებული ჯვარ-ხატთა ნიშნები თუ ეკლესიები დღესაც შემორჩენილია. აქვეა განხილული ისეთი უმნიშვნელოვანესი თემა, როგორიცაა ადიღეების ჩასახლება აფხაზეთში და ისტორიულ სამეგრელოში. ზემოთ მოყვანილ სამეცნიერო თემატიკას ეძღვნება უმნიშვნელოვანესი და გასაოცარი კვლევა მეუფე ანანია ჯაფარიძისა „კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ალანიის ეპარქიის ლოკალიზაციის საკითხი და საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია ცენტრალურ კავკასიაში (ალანია და ოსეთი)“, რომელშიც სხვა ძალზე საყურადღებო და სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად განხილულია უმტკივნეულესი პრობლემა-რეალობა: „დვალთა გადასახლება შიდა ქართლში და მთიელ ქართველთა გაოსება“. მსგავსი სამეცნიერო დონის კვლევა ქართულ ისტორიოგრაფიაში ძალზე მცირეა.



ცალკე ხაზგასასმელია მეუფე ანანია ჯაფარიძის დიდი რუდუნებით შედგენილი ბრწყინვალე შრომა **„საქართველოს საეკლესიო კანონების კრებული“**, რომელშიც ქრონოლოგიურად მოცემული და გაანალიზებულია საქართველოს საეკლესიო კრებების სამართალი, კანონები და დადგენილებები IV საუკუნიდან XX საუკუნის ჩათვლით, რომელიც

**„მოღვაწეობის განსაკუთრებულ მხარეს წარმოადგენს უდავოდ მისი ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობა, რომელსაც საქართველოს ისტორიის კვლევაში ძალზე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია“.**

2003 წლიდან სასულიერო აკადემიის სახელმძღვანელოც არის. აქვე აღსანიშნავია, გარეგნულად მცირე ზომის (სხვებთან შედარებით – **ვ.ო.**) ნაშრომი ჩვენი მეუფისა **„მსოფლიო საეკლესიო კრებები ქართველ ეპისკოპოსთა მონაწილეობით“**, რომელიც ჩემი აზრით უნიკალური კვლევაა და დიდი ინფორმაციის შემცველია ქართული ეკლესიის ისტორიისათვის.

ინტერნეტ სივრცეში და სოციალურ ქსელში საქართველოს წინააღმდეგ გამართულ „ლაშქრობებს“ მედგრად იგერიებს მეუფე თავისი ეროვნულ-ქრისტიანული სულიერებით გაჟღენთილი კვლევებით. მაგალითისათვის საკმარისია, დავასახელო მეუფე ანანიას ნაშრომი **„ალბანეთისა და ხუნძეთის საკათალიკოსოები“** და ბოლო პერიოდში გამოცემული მისი უნიკალური სქელტანიანი წიგნი – **„ალბანეთი“**.

2023 წელს გამოვიდა მეუფე ანანიას 554-გვერდიანი ფუნდამენტური ნაშრომი **„ეპარქიების (საეპისკოპოსოების) ჩამოყალიბება ისტორიულ სამხრეთ საქართველოში (ტაო და ლაზიკა)“**. მე ვფიქრობ ეს არის უძვირფასესი ნაშრომი, რომელიც ცვლის ამჟამად გავრცელებულ და ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულ თვალსაზრისს თითქოსდა, მე-8 საუკუნემდე ტაო ეთნიკური სომხებით იყო დასახლებული და ქართველები აქ არაბთა შემოსევების დროს ჩასახლდნენ. სინამდვილეში კი მეუფე ანანიას დეტალური კვლევიდან ჩანს, რომ სტრაბონის, ქსენოფონტეს და სხვა უნიკალურ წყაროებზე დაყრდნობით ცხადი ხდება, რომ ტაო თავდაპირველადვე დასახლებული იყო ეთნიკური ქართველებით.

აღნიშნული ნაშრომი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციის საზღვრებს სამხრეთ საქართველოში, კერძოდ, ტაოსა და ლაზიკაში. მოყვანილი ნაშრომი ჩვენი სახელმწიფო პოლიტიკის მომავალ ორიენტირებასაც წაადგება სწორი ეროვნული გეზის წარმართვაში.

ცალკე გამოსაყოფია, რა თქმა უნდა, მეუფე ანანია ჯაფარიძის **„საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“**, რომელიც რამდენჯერმე გამოიცა სხვადასხვა ფორმატით. განსაკუთრებით აღვნიშნავ, 2022 წელს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ საქართველოს საპატრიარქოს რეალური ისტორიის დამდგენი მუდმივმოქმედი კომისიის ეგიდით გამოცემულ უნიკალურ ათტომეულს, რომელიც მეუფე ანანია ჯაფარიძის საქართველოს ეკლესიის ისტორიის დიდი და სასოებით სავსე მემატიანის მოღვაწეობის გარკვეული ეტაპის შეჯამებაცაა. თუმცა მუხლჩაუხრელი ქრისტიანული შრომისმოყვარეობით სავსე კვლევა-ძიება არ შეუწყვეტია მაღალ სასულიერო იერარქს. ჩემი ღრმა რწმენით, მისი **„საქართველოს ეკლესიის მოკლე ისტორია“** (ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე) საქართველოს ყველა უმაღლეს სასწავლებელში და სკოლებში უნდა ისწავლებოდეს.

ზემოთ ჩამოთვლილი გამოცემა-შრომები მხოლოდ ნაწილია მეუფე ანანიას შრომა-ღვაწლისა... საოცარია, ერთმა ადამიანმა როგორ შეძლო ამდენი... და იქვე ვპასუხობ: „უფლის შეწევნით და მაცხოვრის დახმარებით!“ და როგორც დავითის ფსალმუნი გვასწავლის: „ბრძანე ღმერთო ძალითა შენითა...“ (67.28) და ღმერთის ძალით აღვსილი თავმდაბალი და კეთილშობილი მეუფე ანანია ქრისტიანული რწმენის კელაპტარით ანათებს ჩვენი სამშობლოს ისტორიის იდუმალ პერგამენტებს და ერის მეხსიერებას ჰპატრონობს მუხლმოდრეკით ლოცვასთან ერთად! როგორც ქრისტესმიერი სიყვარულით აღნიშნავს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ტახტის მოსაყდრე, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტი შიო მუჯირი: მეუფე ანანიას **„მოღვაწეობის განსაკუთრებულ მხარეს წარმოადგენს უდავოდ მისი ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობა, რომელსაც საქართველოს ისტორიის კვლევაში ძალზე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია“.**

ჩემი ღრმა რწმენით, პროფესორი მეუფე ანანია ჯაფარიძე, უნდა იყოს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი.

ღმერთმა ჯანი და მზეგრძელობა არ მოაკლოს, მრავალჟამიერ! გილოცავთ დაბადების დღეს!...

მუხლს და ქედს ვიდრეკ მეუფეო თქვენს წინაშე!

**დიდი სიყვარულით, თქვენი ცოდვილი სულიერი შვილი.**



**ვაჟა ოთარაშვილი**

# გიორგი გაგლოევს, ზაურ ცერცვაძეს

## მილოცვა

**საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მამული, ენა, სარწმუნოების“ სახელით გულითადად მივესალმებით ამავე გაერთიანების ლიდერებს გიორგი არსენს ძე გაგლოევს და ზაურ შალვას ძე ცერცვაძეს. ვულოცავთ მათ დაბადების დღეებს!**

ბატონი გიორგი 27 ნოემბერს დაიბადა, ბატონი ზაური კი – 28 ნოემბერს.

წლეულს მათ 85 წელი შეუსრულდათ!

მიუხედავად ხანდაზმულობისა, ორივენი შესანიშნავად გრძნობენ თავს და ხშირად ხუმრობენ ხოლმე – ვიდრე 100-100 წელიწადს არ მივაღწევთ, პომპეზურ დაბადების დღეებს არ გადავიხდით... აი, მამაზეციერი თუ ჩვენთვის თითო საუკუნეს მართლა გაიმეტებს, მაშინ ორივენი ერთად „გავაერთიანებთ“ 27-28 ნოემბერს და გრანდიოზულ იუბილეს ვიზეიმებთო!

ჩვენს უფროს მეგობრებს საოცარი რწმენა, იმედი და სიცოცხლის სიყვარული ამოძრავებთ, ჩვენ ისღა დაგვრჩენია, კაცურად ვენდოთ მათ სიტყვას და ამთავითვე ვემზადოთ საუკუნის რაინდების წარმოსაჩენად.

მანამდე კი, გულწრფელად გეტყვით, რომ გიორგი გაგლოევი და ზაურ ცერცვაძე, როგორც პროფესიონალი მშენებელ-ინჟინრები, წლების განმავლობაში მოღვაწეობდნენ საქართველოს სამოქალაქო დანიშნულების ობიექტების მშენებლობაზე და წარმატებული მოღვაწეობისთვის მიღებული აქვთ მრავალი სახელმწიფო ორდენი, მედლები, ფასიანი საჩუქრები, სიგელები და ა. შ.





ისინი აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივ საქმიანობაში და სარგებლობენ მაღალი და შეუბღალავი ავტორიტეტით, როგორც ეროვნული და პატრიოტული სულისკვეთებით გაჟღენთილი მამულიშვილები.

ჩვენო ძვირფასო მეგობრებო, კიდევ ერთხელ გილოცავთ წლევანდელ, უკვე ჩავლილ თქვენს საიუბილეო დღეებს, გისურვებთ ჯანმრთელობას, მშვიდობიან წლებს, მშობლიური ქვეყნის გადარჩენას და გამთლიანებას, შვილთაშვილთა მრავლობას და წლეულს დაწურული კახური ღვინის 15-წლიან დაძველებას!.. დაძველებული წარაფი მართლაც უგემრიელესია...

ღმერთი იყოს თქვენი და სრულიად საქართველოს მფარველი!

**ზაურ ხაჩიძე,**
**პოლიტიკური გაერთიანება „მამული, ენა, სარწმუნოების“ თავმჯდომარე.**

# საბა კლდიაშვილის შინ დაბრუნება 120 წლის შემდეგ



**2024 წლის 6 დეკემბერს ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი დაუვიწყარი შეხვედრის მოწმე გახდა.**

საქართველოს დამსახურებულმა ჟურნალისტმა, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის გამგეობის წევრმა, ქართული კულტურის რაინდმა, საქართველოს სპორტის დამსახურებულმა მოღვაწემ, დავით აღმაშენებლისა და ნიკო ნიკოლაძის პრემიების ლაურეატმა, ილია ჭავჭავაძის ოქროს მედლის მფლობელმა, გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა, დავით აღმაშენებლის აკადემიის საპატიო პროფესორმა, ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა (აკადემიკოსმა), ქ. ჭიათურის საპატიო მოქალაქემ ივანე ჯაფარიძემ ამერიკიდან ჩამოიტანა და ავტორის თხოვნით, მუზეუმს საჩუქრად გადასცა აშშ-ში მოღვაწე ქართველი მხატვრის ცისანა ჯანაშვილის მიერ შესრულებული ფერწერულ ტილო „საბა კლდიაშვილი“.

ღონისძიებას ესწრებოდნენ მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომლები, ქალაქის კულტურის სფეროს წარმომადგენლები, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი ომარ ნიშნიანიძე.

მუზეუმის სახელით ქალბატონ ცისანას ასეთი საჩუქრისათვის, ბატონ ივანეს, რომლის უშუალო ინიციატივითა და თანადგომით გადაწყდა ფერწერული ტილოს მუზეუმისათვის გადმოცემა, მადლობა გადაუხადა მუზეუმის ხელმძღვანელმა ნონა ქარციძემ.

მომავალ წელს ფერწერული ტილო „საბა კლდიაშვილი“ გამოიფინება მუზეუმში დაგეგმილ „ფერწერული პორტრეტების“ გამოფენაზე.

ასევე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტისა და მუზეუმის ერთობლივი თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდება ბატონი ივანე ჯაფარიძის წიგნის „ტარიელ საყვარელიძე-100“ პრეზენტაცია და საჯარო ლექცია.

**მურთაზ კანკაძე,**
**გაზეთ „ახალი წყალტუბოს“ რედაქტორი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.**

**საბა** (ოფიციალურად ალექსანდრე) კლდიაშვილი — მეცნიერი-ქიმიკოსი, ნოვოროსიის (ოდესის) უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი დაიბადა 1873 წლის 2 თებერვალს, ქ. ქუთაისში.

საბა კლდიაშვილის მამა, ქუთაისის საგუბერნიო 68-ე ბატალიონის ოფიცერი, პოლკოვნიკი გრიგოლ ლუარსაბის ძე კლდიაშვილი, წარმოშობით სოფელ სიმონეთიდან იყო. საბას ბაბუა, ლუარსაბ კლდიაშვილი, „კაცი წარმოსადეგი ტანისა, დარბაისელი, თავაზიანი და ნასწავლი“, XIX საუკუნის პირველ მეოთხედში სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის, დავით დადიანის პირადი მდივანი ყოფილა.

სოფელ ქვიშხეთიდან იყო საბას დედა — იმ დროისათვის გამორჩეული მსახიობი ეფრო (ეფროსინე) ყიფიანი-კლდიაშვილისა, დიდებული მამულიშვილის დიმიტრი ყიფიანის ძმისწული. ეფრო თავის დროისთვის დიდად განათლებული ქალი ბრძანდებოდა, რომელმაც ზეპირად იცოდა „ვეფხისტყაოსანი“, კარგად ფლობდა ფრანგულ, რუსულ ენებს და ამ ენებიდან თარგმნიდა კიდეც. გარდა ამისა, წერდა წერილებს ჟურნალ-გაზეთებისთვის.

გრიგოლ კლდიაშვილის ოჯახი ქუთაისში პატივისცემით სარგებლობდა. მარჯორი და ოლივერ უორდროპები ამ ქალაქში სტუმრობისას ყოველთვის მათ სახლში ჩერდებოდნენ. მშობლებს ძალ-ღონე არ დაუშურებიათ და მიუხედავად სიძნელეებისა, შვილებს კარგი განათლება მიაღებინეს. გიმნაზიაში შესვლამდე, ეფრომ, თითოეულ მათგანს თავად შეასწავლა წერა-კითხვა.

თერთმეტშვილიან ოჯახში საბა მერვე გახლდათ. უფროსი ძმა, სვიმონ კლდიაშვილი იყო პირველი ქართველი პროფესიონალი არქიტექტორი, ვისი პროექტითაც აიგო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის შენობა. მეორე ძმა, ანდრია გახლდათ ერთ-ერთი პირველი ელექტროინჟინერი. მან გამოიგონა პურის ელექტროსაცხობი. ცნობილია აგრეთვე, რომ მათი და ნინო, მსახიობების ივანე აბაშიძის დედა და დოდო აბაშიძის ბებია იყო.

ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრებისთანავე საბა კლდიაშვილი ჩაირიცხა ნოვოროსიის (ოდესის) უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე, რომელიც პირველი ხარისხის დიპლომით დაამთავრა 1899 წელს. სხვა ცნობილ პროფესორებთან ერთად, უნივერსიტეტში, საბას მასწავლებლები იყვნენ, შემდგომ ოდესის უნივერსიტეტის რექტორი ვასილ პეტრიაშვილი და თბილისის უნივერსიტეტის პირველი რექტორი პეტრე მელიქიშვილი.

1900 წელს ნიჭიერ ახალგაზრდას დიდი ხნის წადილი აუსრულდა და მუშაობა განაგრძო ნოვოროსიის უნივერსიტეტის ტექნიკური ქიმიის ლაბორატორიაში. თუმცა იქ დიდხანს არ დარჩენილა და გადავიდა ამავე ფაკულტეტის ზოგადი ქიმიის ლაბორატორიაში, სადაც მუშაობდა სიკვდილამდე.

უნივერსიტეტში საბა ხელმძღვანელობდა სტუდენტთა პრაქტიკულ დაოსტატებას; ამ ლაბორატორიაში გააკეთა მან მრავალი, უმეტესწილად — ძნელი ორგანული სინთეზი და დაამზადა სხვადასხვა ორგანული პრეპარატი;

ქიმიის მეცნიერებათა სრულად დაუფლებისათვის ახალგაზრდა მეცნიერი რამდენჯერმე იყო მივლინებული ბერლინისა და გეტინგენის უნივერსიტეტებში; ის 1902 წლიდან თანამშრომლობდა ბერლინის ჟურნალებში, სადაც აქვეყნებდა სტატიებს ორგანული სინთეზის შესახებ; ქართულ პრესაში სისტემატურად ქვეყნდებოდა ცნობები ნოვოროსიის უნივერსიტეტის ქართველი პრივატ-დოცენტის საბა კლდიაშვილის გამოკვლევების შესახებ ატომურ და მოლეკულურ წონაზე და სხვა. თუმცა, მისი მეცნიერული კვლევის შედეგები მკაცრად იყო გასაიდუმლოებული და ეს საიდუმლო ახალგაზრდა ქიმიკოსმა თან წარიტანა. საბა კლდიაშვილი ავტორია პირველი ქართულენოვანი სახელმძღვანელოსი ქიმიაში — „მოკლე მინერალური ქიმია“. სახელმძღვანელო წარმოადგენს ზოგადი ქიმიის კურსს, რომელშიც გაშუქებულია კლასიკური ქიმიის მეცნიერული საფუძვლები და მოცემულია ქიმიური ექსპერიმენტების მეთოდიკა. ამ სახელმძღვანელოთი მან საფუძველი ჩაუყარა ქართულ ენაზე ქიმიური ტერმინოლოგიის შექმნის საქმეს.

1905 წლის 5 ოქტომბერს საბა კლდიაშვილი ადრე მივიდა უნივერსიტეტში და ლაბორატორიაში ქიმიური ცდების ჩატარება განაგრძო. ამ დროს, „კავკასიის მებრძოლთა რაზმის“ წევრებმა მას საზარელი ამბავი ამცნეს.



# ებრაელთათვის განწირული სიცოცხლე

ოდესაში ყოვლად უდანაშაულო ებრაელი მოსახლეობის განუკითხავი ხოცვა-ჟლეტა მიმდინარეობდა. არ ინდობდნენ ქალებს, ბავშვებს, მოხუცებს.

საბამ სასწრაფოდ შეკრიბა ოდესის უნივერსიტეტის ქართველი ახალგაზრდობა და მათ შემდეგი სიტყვით მიმართა: „ოდესის ქუჩებში ანტიქრისტენი, რუსი ხალხის შემარცხვენელნი დარბიან და აწიოკებენ, არბევენ ებრაელთა ოჯახებს მხოლოდ იმისთვის, რომ ისინი ებრაელები არიან. მე ბინა ებრაელი კაცის ოჯახში მიქირავს და ვიცი ქალაქის მოსახლეობის ამ ნაწილს არაფრით დაუმსახურებია შავრაზმელთა ასეთი გაბოროტება. მე მოგიწოდებთ, დავიცვათ უიარაღო და დაჩაგრული ხალხი, მე მოგიწოდებთ, როგორც ქართველი, შვილი ჩემი ერისა, რომელსაც არასოდეს ჩაუდენია ასეთი სამარცხვინო საქმე — არასოდეს დაურბევია სხვა ერი. ამ აქტით ჩვენ, ჩვენს საყვარელ ქალაქს და ხალხს ავარიდებთ დიდ სირცხვილს“.

თერთმეტი სტუდენტიდან საბას ცხრა გაჰყოლია. ასე შეიკრა ათკაციანი ჯგუფი და მისაშველებლად გაემართა უბედურების ადგილისაკენ.

32 წლის საბა კლდიაშვილი პირველი ჩაება ხელჩართულ ბრძოლაში, მაგრამ ერთ-ერთი შავრაზმელის მიერ ნასროლმა ტყვიამ იგი სასიკვდილოდ დაჭრა. საბა კლდიაშვილი იქვე გარდაიცვალა. ეს მოხდა დღის ორ საათზე. იმ დღეს კი სულ ოდესაში 1100 ებრაელი მოკლეს, ხოლო 3000 — დაჭრეს და დაასახიჩრეს.

საბა ოდესიდან ბათუმში გადმოასვენეს, სადაც სამგლოვიარო პროცესიას ბათუმის აშკენაზი ებრაელობა ხელმძღვანელობდა. ოჯახის წევრების გარდა, ახლოს არავის უშვებდნენ, მაგრამ ერთმა ჯარისკაცმა მოახერხა, კუბოსთან მიიჭრა და თქვა:

**„ძვირფასო ადამიანო, შენ ჩვენთვის გასწირე საკუთარი სიცოცხლე, შენი მეცნიერება, შენი მომავალი. ჩვენი საცოდავი ხალხის მისაშველებლად გამოხვედი, შენც იგივე გხვდა წილად, რაც ჩვენებს და ჩვენ არასოდეს დავივიწყებთ ჩვენდამი შენს გულკეთილობას, შენს სახელს, ჩვენთვის ძვირფას სახელს, გმადლობთ, ძვირფასო ადამიანო! შეჩვენება შენს მკვლელებს, ჩვენს მტარვალს!“**, — ეს მწარედ აქვითინებული ჯარისკაცი ებრაელი იყო...

ბათუმიდან ქუთაისამდე მატარებელს ყოველ გაჩერებაზე ადგილობრივი ებრაელები ხვდებოდნენ. ეს იყო სახალხო გლოვის ჭეშმარიტი გამოვლინება.

ქუთაისში ცხედარს 20 000 კაცი დახვდა. დაკრძალვაზე ასობით გვირგვინს შორის ქუთაისელ ებრაელთა ერთი ოქროს და ორი ვერცხლისლენტიანი გვირგვინი გამოირჩეოდა, გვირგვინის არშიები დღეს ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმშია დაცული...

იგი ქუთაისის ცენტრში — მთავარანგელოზის ეკლესიის გალავანში დაკრძალეს. 1905 წლის 20 ნოემბრის გაზეთი „ცნობის ფურცელი“ წერდა: „იმ დღეს მთელი ქუთაისი დაკეტილი იყო. არ დარჩენილა არც ერთი დაწესებულება, საზოგადოების არც ერთი ფენა, ხელოსნები, მასწავლებლები, მოსწავლეები, მოხუცნი, რომელთაც კუბო გვირგვინით არ შეემკოთ“.

✦ ✦ ✦

**საბა კლდიაშვილის** პორტრეტის ავტორმა ცისანა ჯანაშვილმა, ამერიკიდან გამომგზავრების წინ, მიამბო მამამისზე, ცნობილ მხატვარზე, თბილისის სამხატვრო აკადემიის პირველ ებრაელ კურსდამთავრებულ მიხეილ ჯანაშვილზე, რომელსაც თურმე საბა კლდიაშვილის პორტრეტის შექმნის სურვილი ჰქონდა: „1989 წლის ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ დაიბეჭდა აკაკი გელოვანის სტატია — „მიხეილ ჯანაშვილის გახსენება“, სადაც წერს: „მიშამ ერთხელ მითხრა: მინდა, საბა კლდიაშვილი დავხატო, მასალებს ვეძებო“... აი, იმ ლამაზი ვაჟკაცის დახატვა სურდა მიშას, ვინც ოდესღაც საკუთარი სიცოცხლის ფასად დაიცვა ებრაელები... კაცი ყველაფერს ვერ მოასწრებს, ხელოვნება უკიდეგანოა, სიცოცხლე — მოკლე...“

**მამაჩემის — მიშა ჯანაშვილის ჩანაფიქრი დღეს მე განვახორციელე! საბა კლდიაშვილის ერთი ფოტოა შემონახული, სადაც სახის ნაკვთები არ ჩანს, მეტად ბუნდოვანია. მისი პორტრეტი ჩემი წარმოდგენით დავხატე!**

მოვძებნე ჩემს ბიბლიოთეკაში გურამ ბათიაშვილის წიგნი — „ვარ დარაჯი ჩემი ძმისა“, რომელიც მისახსოვრა 1997 წელს, თბილისში, როდესაც გამოფენით ვიყავი მიწვეული. ამ წიგნშია მისი წერილი საბა კლდიაშვილზე“.

მთავარანგელოზის ეკლესიის დანგრევის შემდეგ საბა კლდიაშვილის ნეშტი საფიჩხიის სასაფლაოზე გადაასვენეს, სადაც ახლაც დგას ძველი, მაგრამ საკმაოდ თვალშისაცემი ბიუსტი. აღსანიშნავია, რომ გასული საუკუნის 70-იან წლებში, საქართველოდან ისრაელში ახალი წასული ქართველი ებრაელების ინიციატივით, ქალაქ აშდოდის ერთ-ერთ ქუჩას საბა კლდიაშვილის სახელი ეწოდა. ქუთაისში, მერიის შენობის გვერდით არსებულ სკვერს მიენიჭა დიდი ქიმიკოსისა და საზოგადო მოღვაწის, საბა კლდიაშვილის სახელი, რომელიც მსოფლიო მასშტაბის გმირად იქცა.

საბა კლდიაშვილის ცხოვრების უკანასკნელი დღე აღწერილია გურამ ბათიაშვილის რომანში „თუ დაგივიწყო, იერუშალაიმ!“



**ივანე ჯაფარიძე**

## რობერტ ადარი

# მტკვრის ნაპირებიდან წმინდა მიწამდე

## სანთლებს დაგინთებ ცეცხლის სტიქიად...

**ისრაელში ახლაც დაძაბული ვითარებაა და ამ ძნელბედობის მიუხედავად, წმინდა მიწაზე, ისრაელში გადაფრენილ ებრაელებს, როგორც საქართველოს ღვიძლ შვილებს, მაინც ჩვენი ქვეყნის სასიცოცხლო მაჯაზე უდევთ ხელი და გულისფანცქალით აკვირდებიან საქართველოში მიმდინარე პროცესებს, წინააღმდეგობებსა და წარმატებებს; იზიარებენ ჩვენს ჭირსა და ლხინს, ადარდებთ საქართველო, როგორც სამშობლო, საიდანაც გაჰყვათ აქაურობის სითბო და სიყვარული.**

როცა ქვემეხები გრუხუნებენ, მუზები დუმანო, ნათქვამია, მაგრამ, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ისრაელში ქვემეხების გრუხუნშიც კი აწყობენ ჩვენი მოძმე ებრაელები ქართულ საღამოებს, თხზავენ და კითხულობენ ქართულ ლექსებს, ცეკვავენ და მღერიან ქართულ სიმღერებს.

ბევრი ჩვენგანისთვის კარგად ნაცნობი ქართველი ებრაელი, ხმელთაშუა ზღვის პირას „ვეფხისტყაოსნის" ტარიელივით ჩაფიქრებული პოეტი, ილია ჭავჭავაძის, დავით აღმაშენებლის, იოსებ გრიშაშვილის და ჯემალ აჯიაშვილის პრემიების ლაურეატი, ოქროს მედლების მფლობელი, ქართული კულტურის დესპანი ისრაელში, საქრთველოს მწერალთა კავშირის წევრი, ისრაელის საერთაშორისო ორგანიზაცია „გულთა კავშირის" პრეზიდენტი რობერტ ადარი (აჯიაშვილი) ერთ პატარა ლექსში ამბობს:

**ახლა ისრაელში ყველა ლექსებს წერს,**
**განა ყველა ვართ მართლა პოეტი?! –**
**მე ჩემს სიყვარულს ლექსებში ვძერწავ**
**და თქვენს გულებშიც ლექსად მოვედი.**

ბატონი რობერტის შემოქმედებას რომ გაეცნობით, თავადაც მიხვდებით, რამხელა განცდებია ჩადებული ამ ლექსებში, განცდები საქართველოს ერთნგულებისა და სიყვარულისა.
სიყვარული და ჯავარიანი სიტყვა ხომ თავად ღმერთია...

**„საქართველოს რესპუბლიკა"**



### თბილისს

ჩემო თბილისო, მწარე დროებამ
სულიერად გამანადგურა,
გემუდარები, თითქოს გაგექეც
– არ დამაბრალო!..
გთხოვ, შეიბრალო შენს კალთაში
გაზრდილი ბავშვი,
პატარობიდან რომ უყვარდა შენი სამყარო.
მე ჩემმა ბედმა აქამომდე მახეტიალა,
შენზე ფიქრებში მოვიარე ზღვები, მთა-ბარი,
ახლა კი ვზიდავ დაცილებას მძიმე ჯვარივით,
ვერსად ვერ ვპოვე შენისთანა თავშესაფარი.
კაცის გული ხომ ყველგან, მუდამ
რაღაცას ეძებს,
მე კი ცოდვების შესანდობად მოვალ შენამდე
და დაჩოქილი, შენს ფეხებთან დანარცხებული,
აფეთქებული ჩემი ლოცვა ავა ზეცამდე...
სანთლებს დავუნთებ მე შენს
წარსულს, ჩემო თბილისო,
ვერ დავივიწყებ შენს სიყვარულს,
გულში რომ დამრჩა,
წარსულს მიხატავს მოგონება
თანაცხოვრების,
დავრჩი უგულოდ, მქონდა იგი და
შენთან დამრჩა.
ახლა უშენოდ აქეთ-იქით ცოდვებს დავათრევ,
შენზე ვლოცულობ, პატიებას შენგან
მოველი,
ღმერთო, ნუ მომკლავ, ერთხელაც რომ
არ ჩამახუტო,
ჩემი თბილისი, ჩემი სულის სვეტი ცხოველი!

### ბანძა – ჩემი სიყვარული

მე აქ ბავშვობა მომნატრებია,
მომნატრებია მორდეხ ბაბუა,
ფენო ბებიაც მომნატრებია,
მაჯაზე პულსი მომმატებია,
თმაში – ჭაღარაც...
ეს წლებიც
აჩქარებულა – ოხერ-ტიალი,
ამ ცის ქვეშ მიყვარს ჰაერის ყნოსვა,
და ბანძელებთან მე ხეტიალი...
მომნატრებია ჩემი სოფელი,
წინაპრებს ეძებს აქ ჩემი სული,
ბანძელი კაცი მომნატრებია,
და ფორიაქობს სული სულდგმული...
მადლობელი ვარ ჩემი გამჩენის,
რომ კვლავ ვიხილე ბანძა ამგვარი,
სად დაიბადა ჩემი სიცოცხლე,
სადაც დაირწა ჩემი აკვანი.

### მეგობრებს

**ვაჟა აზარაშვილს,**
**მანანა დანგაძეს**

დრო ნელა გადის – მიიზლაზნება,
სული შფოთავს და ბობოქრობს ცამდე ასული,
მოგესალმებით წმინდა მიწაზე,
უცხო მოყმე – მოსეს მეცა და მოსეს ასულიც.
*
ღრმა სიამაყის გრძნობით გმასპინძლობთ,
ნანა, პაატა, შალვა ბატონი,
აქეთ ნუგზარი და მეც მათ შორის,
თქვენთან მმობისთვის თავდადებულნი!
*
თქვენ, სიყვარულის დიდო ელჩებო,
ყველა საქმე გვაქვს გადადებული,
წმინდა მიწაზეც რომ გავაგრძელოთ,
თქვენთან მმობაცა და სიყვარულიც.
*
მოგესალმებით – „ბარუხ აბაიმ",
რიონის, მტკვრის და არაგვისპირნო,
თქვენ, დიდებულო ქართველო ხალხო,
სიყვარულისთვის დაბადებულნო!
*
მოემგზავრებით, არ გყოფნით ახლა,
საქართველოში თქვენ თქვენი სივრცე,
ახლა თქვენ უნდა გაშალოთ ფრთები,
და თავისუფალ მტრედებად იქცეთ!
*
თქვენ უნდა ნახოთ ხმელთა ზღვის ტალღა,
როგორ ეხლება ქვეყნის ნაპირებს
და გველეშაპი არაბეთიდან,
ქვეყნის ჩაყლაპვას როგორ აპირებს!
*
თქვენ გაქვთ მიზანი და ამ მიზნისთვის,
რაც გაგაჩნიათ ყველაფერს მისცემთ,
თქვენ ახლა უნდა გაშალოთ ფრთები
და თავისუფალ ფრინველად იქცეთ!
*
თქვენ უნდა ნახოთ და მიესალმოთ,
იერუსალიმს და ისრაელ ქართველს,
ჯვრის მონასტერში შოთა რუსთაველს
წირვას ეტყვით და დაუნთებთ სანთლებს.
*
თქვენ უნდა ნახოთ ქნესეთის თავზე
როგორ ფრიალებს თეთრად ალამი,
ჩვენს დედაქალაქს – უძლევს, შეუვალს,
პირადად გინდათ მისცეთ სალამი.
*
მაგრამ ეს მერე, ახლა არ გყოფნით,
არც თქვენი დრო და არც თქვენი სივრცე,
ახლა თქვენ უნდა გაშალოთ ფრთები
და თავისუფალ მტრედებად იქცეთ!

### აფხაზეთის მონატრება

შენ ღვთიურო ანგელოზო,
აფხაზეთო, არნახულო,
მშობელ დედას მოწყვეტილო
და ჩემს გულში დამარხულო!
ამაღლებული სულით სადღეგრძელოს ვსვამ,
იმ ნოსტალგიით, ისრაელში გულს რომ
ატირებს,
მე იმავ მიწის სადღეგრძელო მინდა დავლიო,
მოსაფერებლად შენთან მოსვლას
რომ დააპირებს;
მონატრებისას, დიდი სევდით ვსვამ
სადღეგრძელოს
და იმ ცრემლების, ჩემს თვალებს რომ
ჩამოსდენია,
უაფხაზეთოდ მკერდმოჭრილი დავიარები,
და მეც თქვენსავით „ბაირახის" სახელი მქვია;
ბოტანიკურზე ხელში თასით ამაყად მდგარო,
კდემამოსილო, დიდებულო ქართველო ქალო,
შენით დამტკბარა, ცოდვით სავსე სიცოცხლე ჩემი,
გულს ჩამრჩენია შენი სითბო და ხმალი შენი;
ისე მიყვარხარ, ვით არასდროს და ისე მლიერ,
დამწუხრებული თქვენს ნაღვლიან
თვალებსა ვკოცნი,
გეპატიჟებით აღთქმულ მიწაზე,
თუკი ჩამოხვალთ,
თქვენთან ყოფნის და მოფერების
რეკორდებს მოვხსნი;
და აი, ახლაც, ისრაელის მცხუნვარე
მზის ქვეშ,
ხმელთა ზღვის პირას თქვენზე
ვფიქრობ, ბედს არ ვნებდები,
ვზივარ და ვდარდობ ლიძავაზე, გაგრა-სოხუმზე,
ღაწვებს მისველებს ცრემლები და
ვგრძნობ, რომ ვბერდები;
ტალღა მოგორდა, კოცნის ნაპირს და
მომაგონდა,
შავი ზღვა, გაგრა საყვარელი და მაგნოლია,
აგერ, თოლიაც ჩამომიჯდა უშიშრად,
გვერდით, –
სოხუმში ვარ-თქო, ასე ვფიქრობ, ასე მგონია;
ზღვა კი ღელავს და არ წყნარდება,
აღარ ისვენებს,
მარტო მან იცის, ჩემს გულში რა აგონიაა,
ბობოქრობს, შფოთავს და უთქვენოდ
აღარ მიზიდავს,
არცა ბახუსი და არც კრებული ლამაზმანების;
ახლა მათ ნაცვლად წარსული და
ფიქრები მართობს,
გავსცქერ ჰორიზონტს და თქვენი
ნახვის წყურვილი მათრობს,
ღელავს ხმელთა ზღვა, მთვარეც
მიმზერს თავდამხობილი,
რომ ჩემი ლექსით გეამბოროთ
გულჩათხრობილი !

### საყვარელ ქალს

რა ვქნა, შენს თვალებს ვერ გავექეცი,
ვნებები ფეთქავს ყველა ჩემს ლექსში,
საქართველოში შეგისუნთქე და
სამუდამჟამოდ დაგტოვე ჩემში!

ოცნებად დამრჩი აუხდენელი,
ჩემი ოცნება ახლაც შენა ხარ,
ოხ, როგორ მინდა შენთვის ვიცოცხლო
და დავიბადო შენთვის ხელახლა!

უფლისა ნებით ვერსად ვერ შეგხვდი,
რომ სიყვარული შენთან გამეყო,
მე შენს სიმაღლეს ვერა, ვერ შევწვდი,
რომ პირველობა ხელში ამეღო,

ახლა კი შევთხოვ წმინდა მიწაზე,
ჩვენს ღმერთს, უფალს და პასუხს მოველი, –
თუ პირველობა მე არ მეღირსა,
ჯანდაბას, ვიყო უკანასკნელი...

### უშენობა

წახვედი და გაიხურე კარები,
მე კი უკვე, უშენობა მატყვია,
მითხარ, კარგო, რად არ მომეც შენდობა,
არ დამინდე, დამიშინე მე ტყვია?!
ასე რატომ გადაგვარდი, წახვედი,
აირჩიე გზა ზიგზაგი ურჩების?!
ნუთუ, აწი, ვერ ჩაგხედავ თვალებში,
ვერ გავიგებ გემოს შენი ტუჩების?!
ვიცი, აწი, მომანატრებ ყველაფერს,
დანატრებულ გულ-მკერდის და წვივების,
მითხარ, კარგო, ღრუბლებში რად გამხვიე,
დამიყენე მე სეზონი წვიმების?!
ვერ შეხვდები ჩემისთანა გულის კაცს,
დაბუდებულს შენს მშვენიერ სხეულში,
შენზე ლოცვა, მე ჩემს ღმერთთან იცოდე,
ჩემს გულში და ჩემს სხეულში შევუშვი!
სჯობს, შევწყვიტავ ამ ცრემლიან სტრიქონებს,
ვეღარ უძლებს გული, გრძნობანაკლული,
ამ ჩემს გულში ბევრ მეგობრებს უვლია,
შენგანა ვარ მარტო წიხლებ წაკრული...
მიზიარე შენი გულის სითბო მე,
სიყვარული მარტო შენი გამათბობს,
თბილისში კვლავ გესტუმრები იცოდე,
შენთან ყოფნა რახან ისევ დამათრობს...

# ბაიდენის ადმინისტრაციის გამოსამშვიდობებელი გასროლა




## როგორ შეიძლება, განხორციელდეს სირიის სცენარი საქართველოში?!

**მაშინ, როდესაც ისრაელსა და „ჰამასს“ შორის დროებითი ზავი დამყარდა, სირიელმა ამბოხებულებმა მოულოდნელად შეუტიეს ბაშარ ალ-ასადის რეჟიმს.**

(**ცნობისთვის:** სირიის ტერიტორიას კოლონიალიზმის არცთუ შორეულ პერიოდში საფრანგეთი აკონტროლებდა, ხოლო თანამედროვე თურქეთი იმავე ტერიტორიას ოსმალეთის იმპერიის ნაწილად მიიჩნევს და მოაზრებულიც აქვთ ნეოოსმალური დოქტრინით).

ირანმა მაშინვე გამოთქვა მზადყოფნა, დახმარებოდა ასადის რეჟიმს, თითქოს მხოლოდ თხოვნას ელოდებოდა, ხოლო, მეორე მხრივ, ივარაუდებოდა, რომ რუსეთიც არ დაიშურებდა ძალას სირიის დიქტატორად შერაცხილი ასადის მხარდასაჭერად (რუსეთის ფედერაციის ერთადერთი სამხედრო ბაზა სწორედ ასადის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე იყო განთავსებული), სისხლიანი ეპოპეა მხოლოდ ათიოდ დღეს გაგრძელდა. და დასრულდა იმით, რომ ასადის არმიამ, რომელიც 300 000 ჯარისკაცს ითვლიდა, ამ ბრძოლებში მხოლოდ 300 სამხედრო მოსამსახურე დაკარგა: ამბოხებულებმა უპრობლემოდ დაიკავეს როგორც სხვა ქალაქები, ასევე, დედაქალაქი დამასკო.

დამასკოს დაკავებამდე ბაშარ ალ-ასადმა ამერიკის შეერთებულ შტატებს მიმართა და მზადყოფნა გამოთქვა მოლაპარაკებებისთვის, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ეს შეთავაზება დაგვიანებული იყო. ამბოხებულები სირიის დედაქალაქში შევიდნენ, მხოლოდ ბაშარ ალ-ასადი ოჯახთან ერთად თვითმფრინავით გაიქცა. გავრცელებული, მაგრამ, დაუზუსტებელი ინფორმაციით, მისი თვითმფრინავი ჩამოაგდეს, საბოლოოდ კი, გაირკვა, რომ ასადი ოჯახთან ერთად უსაფრთხო ადგილას, კერძოდ, მოსკოვშია.

დაზუსტებით მარტო ის არის ცნობილი, ასადის რეჟიმის წინააღმდეგ იბრძოდნენ სხვადასხვა ისლამისტური დაჯგუფებები (აქ საკვანძო სიტყვაა – ისლამისტური, ანუ რადიკალური ისლამური ძალები), მათ შორის, სირიასა და ლევანტში ალ-ქაიდას ფილიალის მებრძოლები.

სირიის ლიდერი აბუ მუჰამად ალ-ჯულანი გახდა (ვიცი, ეს სახელი და გვარი არაფერს ეუბნება ჩვენს მკითხველს), ორგანიზაცია „ჰაიათ თაჰრირ ალ-შამის“ ლიდერი.

**ირანისტ ვასილ პაპავას** თქმით, „ჰაიათ თაჰრირ ალ-შამი“ სუნიტური ისლამისტური ორგანიზაციაა და მათ უკვე მოასწრეს ბაშარ ალ-ასადის ბიძაშვილის სიკვდილით დასჯა: ამმარ ალ-ასადი მოედანზე ჩამოახრჩვეს.

იგივე ბედი ელით ასადის ნათესავებსა და მასთან დაახლოებულ პირებს. ამასობაში კი, რუსეთის სამხედრო ნაწილები სირიას ტოვებენ. აქვე შეგახსენებთ, რომ ამბოხებულების გამოჩენისთანავე ერაყის ხელისუფლებამ ბაშარ ალ-ასადის დასახმარებლად ერაყის სამხედრო შენაერთები გაგზავნა, თუმცა ამჟამად მათ შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება.

იმის გათვალისწინებით, რომ ამბოხებულებს საკმაოდ ქმედითად ეხმარებოდა თურქეთი (უფრო ზუსტად, თავის სამხედრო-პოლიტიკურ ამოცანებს ასრულებდა), ისევე, როგორც ამერიკის შეერთებული შტატები, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ კონკრეტულ მონაკვეთში და ადგილას მათი ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა და შესაძლოა, ამას უკავშირდებოდეს ბოლო პერიოდში ერდოღანის საეჭვო დუმილი, რომელიც ცოტა ხნის წინათ ბრიქსის სამიტს დაესწრო ყაზანში და ბრიქსში გაწევრებაც კი მოითხოვა. საინტერესოა, რომ სირიაში საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ, კერძოდ, დამასკოდან ასადის გაქცევამდე ორიოდე დღით ადრე თურქეთის სახელმწიფო სააგენტომ გაავრცელა ინფორმაცია, რომ სულ მალე დაიკავებენ ალეპოსა და დამასკოს, სხვა ქალაქებსაც და მათ კანონიერ მფლობელს დაუბრუნებენ (ინფორმაციაში არ იყო მინიშნებული, ვინ იგულისხმებოდა კანონიერ მფლობელად, თუმცა იოლი მისახვედრია, რომ ოსმალეთის იმპერიის სამართალმემკვიდრე თურქეთის რესპუბლიკა) და ამის შემდეგ ისინი მოვლენ ზანგეზურში. და სწორედ აქ იწყება ჩვენთვის საინტერესო ამბავი:

ზანგეზურის დერეფანი, მოგეხსენებათ, სომხეთის ტერიტორიაზე გადის. სომხეთ-აზერბაიჯანის ბოლო ომის შემდეგ, რის შედეგადაც ბაქომ აღადგინა კონტროლი ყარაბაღის ავტონომიასა და სომხეთის მიერ მიტაცებულ აზერბაიჯანის არაავტონომიურ ხუთ რაიონზე, დაპირისპირების მორიგ საგნად ლაჩინისა და ზანგეზურის დერეფნები იქცა. აქვე ვიტყვი, რომ ლაჩინის დერეფნით ყარაბაღის ავტონომია უკავშირდება სომხეთს, ხოლო ზანგეზურის დერეფნით – აზერბაიჯანი თავის ავტონომია ნახიჭევანსა და თურქეთს. ანუ ზანგეზურის დერეფნის კონტროლი სასიცოცხლოდაა აუცილებელი როგორც ბაქოსთვის, ისე ანკარისთვის, ვინაიდან სწორედ ზანგეზურით უკავშირდება თურქეთი აზერბაიჯანსაც და შუა აზიის ოთხ ქვეყანასაც, რომლებშიც (ტაჯიკეთის გარდა) თურქმანული ხალხები ცხოვრობენ, ანუ აუცილებელი გზაა თურქეთის პროექტის: ექვსი სახელმწიფო – ერთი ხალხის – განსახორციელებლად.

მეორე მხრივ, ზანგეზურის დერეფნის გარშემო დაძაბულობის შექმნისთანავე ირანმა გამოთქვა მზადყოფნა, დაიცვას ზანგეზურის დერეფანი, რომ ის დარჩეს სომხეთის შემადგენლობაში (ხსენებული დერეფანი სომხეთის ტერიტორიაა) და ამ მიზნის მისაღწევად, მზადაა, იომოს კიდეც.

✦ ✦ ✦

**ჩვენ** ისევ „ჰაიათ თაჰრირ ალ-შამის“ დავუბრუნდეთ, სირიის ამჟამინდელ მმართველებს: **ვასილ პაპავას** განმარტებით, ეს ისლამისტური დაჯგუფება 2017 წელს შეიქმნა, რამდენიმე ისლამისტური დაჯგუფების გაერთიანების შედეგად. ზემოთქმული, სავარაუდოდ, ნიშნავს, რომ რეგიონში, კარგი დღეები არ ელით, მაგრამ, ასევე, ბუნდოვანია ქურთების ბედი, რომელთა განადგურება თურქეთის სახელმწიფო ინტერესია. ეს სწორედ ის წერტილია, სადაც აშშ-სა და თურქეთის ინტერესები ერთმანეთს ეწინააღმდეგება.

საბოლოოდ, რჩება შთაბეჭდილება, რომ დიდი გარიგება განხორციელებულია და ამის შედეგებს სულ მალე ვიხილავთ, მაგრამ მანამდე თურქეთს, როგორც გითხარით, კიდევ ერთი ამოცანა – ქურთების პრობლემა აქვს გადასაჭრელი. შესაბამისად, თურქეთისა და აშშ-ის, ასევე, ისრაელის მხარდაჭერის შემდეგ თურქეთისა და პროთურქული დაჯგუფების ძალები გეგმავენ შეტევას ქურთების მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე. აი, აქ თურქეთისა და აშშ-ის ინტერესები უკვე ერთმანეთს უპირისპირდება, იმიტომ რომ ქურთები აშშ-ის მფარველობის ქვეშ არიან, რაც მიანიშნებს, რომ საერთო მიზნის – ასადის ჩამოგდების აქამდე ერთი ინტერესით მოქმედი ძალები უკვე თავიანთი ინტერესებით იმოქმედებენ და შესაძლოა, ერთმანეთის წინააღმდეგაც. ხოლო, თუ გავითვალისწინებთ, რომ სირიაში არა მხოლოდ აშშ-სა და თურქეთის ინტერესები იკვეთება, სავარაუდოა, რომ ახლო აღმოსავლეთში დიდი და სისხლისმღვრელი ომი გარდაუვალია, რომელიც, ადრე თუ გვიან, მოადგება კავკასიასაც, ვინაიდან მსოფლიოში დღეს მიმდინარე დაპირისპირებების მიზანი გავლენის სფეროების გაფართოება და მოპოვებაა, რაც გულისხმობს კომუნიკაციების, ანუ გზების კონტროლს, სამხრეთ კავკასია და საქართველო კი ამ გზების ორგანული შემადგენელი ნაწილია.

სურათის უკეთ დანახვისა და მოსალოდნელი საფრთხეების გაანალიზების მიზნით ოდნავ უკან გადავინაცვლოთ: სირიასა და, ზოგადად, აღმოსავლეთში ჩაუქრობელი ცეცხლის დანთების სათავეებთან.

**ირანისა და რუსეთის პასიურობა სირიაში მიმდინარე მოვლენებში ბადებს ეჭვს, რომ სირიის შესახებ მხარეები გარიგდნენ (პირდაპირ თუ ირიბად) და ეს გამოჩნდება მაშინვე, როგორც კი მხარეები სირიის ტერიტორიას გადაინაწილებენ.**

ავღანეთის შემდეგ, ტერორისტების მორიგი ნავსაყუდელი შეიქმნება.

**ირანისა და რუსეთის პასიურობა სირიაში მიმდინარე მოვლენებში ბადებს ეჭვს, რომ სირიის შესახებ მხარეები გარიგდნენ (პირდაპირ თუ ირიბად) და ეს გამოჩნდება მაშინვე, როგორც კი მხარეები სირიის ტერიტორიას გადაინაწილებენ.**

ფაქტია, ალავიტებს, ანუ იმ რელიგიურ უმცირესობას, რომლებსაც ბაშარ ალ-ასადი წარმოადგენდა,

**ბუნებრივია, იბადება კითხვა, რატომ შეირჩა პიონერად მაინცდამაინც ერაყი?!**

**ამერიკელი პროფესორი ჯეფრი საქსი განმარტავს, რომ 1998 წელს პრეზიდენტმა კლინტონმა და აშშ-ის კონგრესმა მიიღეს კანონი, რომელიც გულისხმობდა, არც მეტი, არც ნაკლები, ერაყის გათავისუფლებას. ვიცი, რომ უცნაური მოსასმენია, მაგრამ ეს კანონი ინტერნეტშიც კი იძებნება – 10001008731.**



ხოლო, რაკი 2003 წელს აშშ და კოალიცია ერაყის ომში „გაიჭედა“, ვერ მოხერხდა ომის სირიაში დაწყება. ჯეფრი საქსი ამატებს: **„2011 წელს მოვიდა ობამას ჯერი, რომ მიეხედა სიის შემდეგი ქვეყნისთვის და 2011 წელს ობამა და მისი სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი მოულოდნელად იწყებენ ლაპარაკს, რომ დროა, ჩამოაგდონ სირიელი ლიდერი ბაშარ ალ-ასადი. აშშ ისევ აცხადებს, რომ ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ, ვინ უნდა მართოს შენი ქვეყანა. ობამამ ხელი მოაწერა პრეზიდენტის საიდუმლო წერილს, რომლითაც ცენტრალურ სადაზვერვო სამსახურს დაავალა საუდის არაბეთთან და სხვა რეგიონულ რეჟიმებთან თანამშრომლობა, რომ მათ შეაიარაღონ ძალები, რომლებიც დაუპირისპირდებიან სირიის მთავრობას. ამ პროგრამის სახელწოდებაა Timber Sycamore. ამერიკულ მედიას ეს არ გაუშუქებია, „ნიუ იორკ თაიმსმა“ მხოლოდ სამჯერ დაწერა ამის შესახებ ბოლო 10 წლიწადში. ამ ფაქტებს უმალავენ ამერიკელ ხალხს, იმიტომ რომ ასე მუშაობს ცენტრალური სადაზვერვო სამსახური. ის მოქმედებს ფარულად და ამიტომ არ აქვს პასუხისმგებლობა“.**

ჯეფრი საქსის ვარაუდით, თუმცა სირიაში ომი ბოლო 13 წლის განმავლობაში გრძელდება, რაც ახლახან მოხდა, სწორედ ამ პროგრამის ნაწილია: რამდენიმე დღის წინათ ისრაელმა საგრძნობლად დაასუსტა „ჰესბოლა“, ირანის მდგომარეობა გართულდა. რუსეთი ომობს უკრაინაში, ამიტომ ვაშინგტონში და, ალბათ, ანკარაშიც, დაზუსტებით კი – ისრაელში გადაწყვიტეს, რომ სწორედ ახლაა შესაფერისი დრო ასადის ჩამოსაგდებად. ჯეფრი საქსი დარწმუნებულია, რომ ახლო აღმოსავლეთში ომი ისრაელის მითითებით გრძელდება, რასაც ბოლო 20 წელია, არაფერი მოუტანია გარდა ქაოსისა, მაშინ, როდესაც აშშ-მა სამი ტრილიონი დოლარი დახარჯა. ომია ლიბანში, ომია სირიაში, ომია სომალიში, ომია სუდანში, ლიბიაში კი, დესტაბილიზაციაა. ჩვენ დესტაბილიზაცია გამოვიწვიეთ ამ დიდ რეგიონში, მაგრამ სწორედ ამაზეა აგებული თამაში, – აცხადებს ის.

**ჯეფრი საქსი იქვე დასძენს, რომ არც სირიაში ომის განახლებაა შემთხვევითი და არც არეულობები რუსეთის პერიფერიაზე და ასახელებს საქართველოს, რუმინეთსა და მოლდოვას. „ეს ბაიდენის ადმინისტრაციის გამოსამშვიდობებელი გასროლაა, რუსეთის საზღვრებთან აშშ ატარებს აქტიურ საიდუმლო ოპერაციებს და იყენებს დემოკრატიის ნაციონალურ ფონდს რუსეთისთვის პრობლემების შესაქმნელად.“**

**ფაქტია, რომ ახალი მსოფლიო წესრიგის შექმნა მოითხოვს მსხვერპლს და ამ მსხვერპლის გაღება უწევთ მცირე სახელმწიფოებს, რომლებზეც დიდი სახელმწიფოების სასიცოცხლო ინტერესები გადის (ამის დასტურია, რომ ასადის ჩამოგდების შემდეგ ისევ შეიძინა აქტუალობა გაზსადენის მშენებლობამ კატარიდან, თურქეთის გავლით, ევროპისკენ).**

**ერთ-ერთი დერეფანი საქართველოცაა: რთული სათქმელია, მიაღწევს თუ არა მიზანს, როგორც ჯეფრი საქსი ამბობს „ბაიდენის ადმინისტრაციის საკონტროლო გასროლა“, თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, კონკრეტულად საქართველო საზარბაზნე ხორცობისთვისაა განწირული და იმდენად აქტიურობს ამ როლის მოსარგებად (არაადეკვატური და მსოფლიოში მიმდინარე პროცესების კონტექსტიდან ამოვარდნილი ლოზუნგებით), რომ მისი „ზარბაზნებში“ საზარბაზნე ხორცად დაბანდების მსურველი ბევრია, რაც, საბოლოოდ, შესაძლოა, საქართველოს დღევანდელ დეფაქტო ტერიტორიას რამდენიმე სახელმწიფოს შორის დანაწევრებად დაუჯდეს, რომ დიდებმა და ძლიერებმა უპრობლემოდ აკონტროლონ გზები, როგორც მათი ძალაუფლებისა და გამდიდრების სტაბილური წყარო.**

**ნინო ხაჩიძე**




# ცისტიტის შემოტევის „ორი ასაკი“

დღევანდელი საუბრის თემაა საშარდე გზების ინფექციები, რომლებიც არ გადადის სქესობრივი გზით. თუ წინა ინტერვიუ საინტერესო და აქტუალური იყო ძირითადად მამაკაცებისათვის, დღევანდელი საუბარი უფრო მეტად ქალებს დააინტერესებს. დამერწმუნეთ, ჩემი მრავალწლიანი პრაქტიკა მოწმობს, რომ ისე არაფერი ტანჯავს ქალს, როგორც ცისტიტი, ანუ შარდის ბუშტის განმეორებადი ანთებები.

***— ბატონო არჩილ, თქვენი თქმით, ამ პრობლემის აქტუალობას, როგორც ჩანს, უწინარესად, მისი სიმწვავე და სიხშირე განაპირობებს. გვითხარით, თუ შეიძლება, რამდენად ხშირია ეს დაავადება და რა არის მისი გამომწვევი მიზეზები?***

— ამ ინფექციას 80-85% შემთხვევაში იწვევენ ბაქტერიები, რომელთაგან ხუთს ყველაზე ხშირიად ვხვდებით. ასე მაგალითად, პირველ ადგილზეა ბაქტერია „ნაწლავის ჩხირი“. ეს სახელი დაერქვა იმიტომ, რომ იგი „ბინადრობს“ ადამიანის ნაწლავებში და მისი იქ ყოფნა საციცოცხლოდ მნიშვნელოვანია ორგანიზმისათვის, ანუ მას გარკვეული სარგებელი მოაქვს. პრობლემა ჩნდება მაშინ, როცა ეს ბაქტერია „გადაადგილდება“ და მოხვდება იქ, სადაც არ უნდა იყოს. ასეთი „საყვარელი“ ადგილი კი მისთვის, სწორედ ადამიანის საშარდე სისტემა, კერძოდ კი შარდის ბუშტია. ბაქტერია შარდის ბუშტში ხვდება საშარდე მილიდან და ეს, სამწუხაროდ, ბევრად მარტივად ხდება ქალებში, ვიდრე მამაკაცებში. ამას თავისი კონკრეტული ანატომიური და ფიზიოლოგიური მიზეზები აქვს, რომელთაც ჩვენ ვერ შევცვლით.

მართლაც, ქალების 70%-ს ცხოვრების განმავლობაში ემართება ცისტიტის მინიმუმ ერთი ეპიზოდი მაინც. უფრო მეტიც, 25 წლის ასაკისთვის ქალების მესამედს უკვე გადატანილი აქვს ამ დაავადების სულ მცირე ერთი ეპიზოდი. ხოლო ქალები, რომლებსაც უკვე ჰქონდათ ცისტიტი, არიან კიდევ უფრო მაღალი რისკის ქვეშ და მათ 25-50%-ს ეს დაავადება განმეორებით დაემართება, ანუ განუვითარდება რეციდივი, რაც კიდევ უფრო საშიშია.

***— რა არის ამ დაავადების განვითარების რისკ-ფაქტორები, ვისთან და რატომ ვითარდება ის უფრო ხშირად?***

— დაავადება ყველაზე ხშირია 18-34 და 55-65 წლის ასაკში. ამას თავისი კონკრეტული მიზეზები აქვს. ამ ასაკობრივ ჯგუფებში რისკ-ფაქტორები განსხვავებულია. კერძოდ, ახალგაზრდა ქალებში მისი ძირითადი მიზეზი აქტიურ სქესობრივ ცხოვრებასთან არის დაკავშირებული. კერძოდ: მრავალჯერადი სქესობრივი აქტები, პოლიგამიური ურთიერთობა და ყოველი ახალი პარტნიორი ითვლება ინფიცირების კლასიკურ რისკ-ფაქტორებად. მნიშვნელოვანია ასევე მემკვიდრეობითი დატვირთვა. ასე მაგალითად, თუ თქვენს დედას ჰქონდა ეს პრობლემა, თქვენ გაზრდილი რისკის ქვეშ ხართ და მეტი ყურადღებით უნდა მოეკიდოთ თქვენს უროლოგიურ ჯანმრთელობას. რაც შეეხება მენოპაუზის შემდგომ პერიოდს, აქ რისკ-ფაქტორები სულ სხვაა, კერძოდ: ასაკობრივი ჰორმონალური ცვლილებები ქალის ორგანიზმში, შარდის შეუკავებლობა, შარდის ბუშტის დაწევა და სხვა. ასევე, თუ პაციენტს მენოპაუზამდელ პერიოდში ჰქონდა ინფექციის ეპიზოდები, იგი კიდევ უფრო მეტად მომატებული რისკის ქვეშ არის.

***— ბატონო არჩილ, იქნებ ჩვენს მკითხველს უთხრათ, რა სიმპტომები ახასიათებს ამ დაავადებას და როგორ უნდა ამოიცნოს იგი პაციენტმა?***

— მწვავე ცისტიტისთვის დამახასიაებელია ხშირი და მტკივნეული შარდვა, მოშარდვის დაუოკებელი სურვილი, ტკივილი ბოქვენზედა არეში, მღვრიე და სისხლიანი შარდი. ძალიან ხშირად, ქალები გრძნობენ შარდის არასასიამვნო სუნს, რაც, როგორც წესი, დაავადების დაწყების პირველი სიმპტომია.

***— რამდენად მარტივი, ან რთულია ამ დაავადების დიაგნოსტიკა და როგორ უნდა მოიქცეს პაციენტი თუ ეჭვი მიიტანა მის არსებობაზე?***

— პირველ რიგში, უნდა გვახსოვდეს, რომ **ცისტიტის დიაგნოზის დასასმელად და მის სამკურნალოდ, აუცილებელია შარდის ანალიზის გაკეთება.** ამ დაავადების დიაგნოსტიკა მოითხოვს ლაბორატორიულ დადასტურებას. არის ბევრი სხვა დაავადება, რომელთა სიმპტომები ჰგავს ცისტიტის სიმპტომებს, ამიტომ, სანამ მკურნალობას დაიწყებდეთ, აუცილებელია დიაგნოზის დადასტურება შარდის საერთო ანალიზით. ეს უმარტივესი ტესტია, რომელიც ავტომატიზირებულია, რამოდენიმე წუთში იძლევა პასუხს და ხელმისაწვდომია პრაქტიკულად ყველა სამედიცინო დაწესებულებაში, იქნება ეს კლინიკა, თუ ამბულატორია. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ლაბორატორიულად დადასტურდება, რომ თქვენ გაქვთ საშარდე გზების ინფექცია, შესაძლებელია მკურნალობის დაწყება.

***— ზოგადად, როგორ მიმდინარეობს ეს დაავადება და შეიძლება თუ არა გამოიწვიოს სერიოზული გართულებები?***

— რაც შეეხება გართულებებს, ერთი უკვე აღვნიშნეთ და ესაა სისხლიანი შარდი. თუ ინფექცია შარდის ბუშტშია ლოკალიზებული, ანუ „ქვედა სართულზეა“, როგორც წესი, იგი სერიოზული გართულებების გარეშე მიმდინარეობს და მარტივადაც იკურნება. მაგრამ თუ დაავადების გამომწვევი ბაქტერია მოხვდება ზედა საშარდე გზებში, მაგალითად თირკმლებში, მაშინ პაციენტი სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოჩნდება. კერძოდ, გამოიხატება ისეთი სიმპტომები, როგორიცაა: ძლიერი ტკივილი წელის არეში, მაღალი ტემპერატურა (>38⁰C), გულისრევის შეგრძნება, პირღებინება, უმადობა, ჭარბი ოფლიანობა და მკვეთრად გამოხატული ზოგადი სისუსტე. **დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს, ან გამოიძახეთ სასწრაფო დახმარება, თუ თქვენ აღგენიშნათ მსგავსი სიმპტომები. ამ დროს ხშირად პაციენტის ჰოსპიტალიზაცია ხდება საჭირო.**

***— ბატონო არჩილ, რა შეგიძლიათ ურჩიოთ ჩვენს პაციენტებს თუ მათ დაემართათ მწვავე ცისტიტი, რა ღონისძიებებით არის შესაძლებელი ჩივილებისა და სიმპტომების შემსუბუქება?***

— პირველ რიგში, სანამ რაიმე მედიკამენტს მიიღებდეთ, შეაგროვეთ შარდი და ჩააბარეთ ლაბორატორიული ანალიზისთვის. არსებობს რამდენიმე მარტივი ქმედება, რითაც პაციენტს შეუძლია შეიმსუბუქოს ჩივილები მანამ, სანამ ექიმს მიმართავს და მკურნალობას დაიწყებს. კერძოდ:

- მიიღეთ ბევრი სითხე: წყალი, მცენარეული ნახარშები და სხვა;
- არ მიიღოთ მაგარი ჩაი, ყავა, ალკოჰოლი, გაზიანი და ხელოვნურ დამატკბობელებზე დამზადებული სითხეები – ისინი აღიზიანებენ შარდის ბუშტის ლორწოვანს და აუარესებენ სიმპტომებს;
- თუ ტკივილი ძლიერი და შემაწუხებელია, ექიმთან მისვლამდე შეგიძლიათ დალიოთ პარაცეტამოლი ან იბუპროფენი;
- წელსქვეით ტანი გქონდეთ სითბოში, სათბურის ან თბილი წყლით სავსე ბოთლის მოთავსება ბოქვენს ზემოთ, ან ბარძაყებს შორის ტკივილს დაგიამებთ;
- დროებით შეწყვიტეთ სქესობრივი ცხოვრება;
- ნუ მიიღებთ მედიკამენტებს თვითნებურად! სამწუხაროდ, ეს პრაქტიკა ძალიან გავრცელებულია როგორც საქართველოში, ისე სხვა ქვეყნებში.

ზოგადად, ძალიან მნიშვნელოვანია პაციენტმა დღის განმავლობაში სვას ბევრი სითხე! წყალი ამ შემთხვევაში საუკეთესოა და მისი რეკომენდებული რაოდენობა დღე-ღამეში დაახლოებით 2 ლიტრია. ეს ზრდის გამოყოფილი შარდის რაოდენობას და აადვილებს ბაქტერიების გამოდევნას ორგანიზმიდან.





**რჩევა მკითხველს:** **თუ იგრძენით შარდის არასასიამოვნო სუნი, დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს და ჩაიტარეთ შარდის საერთო ანალიზი! ეს შეიძლება დაავადების პირველი სიმპტომი იყოს.**

***— დიდი მადლობა ასეთი დეტალური რეკომენდაციებისათვის! რას გვეტყვით მკურნალობის შესახებ, რამდენად მარტივია ეს პროცესი და არის თუ არა ხელმისაწვდომი საქართველოში ის მედიკამენტები, რაც ამ დროს ინიშნება?***

— უპირველეს ყოვლისა, ვუთხრათ ჩვენს მკითხველს, რა დროს უნდა მიმართოს ექიმს აუცილებლად.

ეს შემთხვევებია:

- თუ სიმპტომებმა არ გაიარა 3-5 დღეში;
- შარდში სისხლის არსებობა;
- ცისტიტის ხშირი, განმეორებადი ეპიზოდები (სამ თვეზე მოკლე ინტერვალებით);
- მაღალი ტემპერატურა (>38 C);
- თუ ხართ ორსულად და ცისტიტი დაგემართათ;
- თუ თქვენს შვილს დაემართა ცისტიტი .

მკურნალობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ხშირად უმეორდება ქალს ცისტიტი. დაავადების პირველი ეპიზოდისას, ან იშვიათი (მაგალითად, წელიადში ერთიორჯერ) ფორმებისას, მკურნალობა ძალზე მარტივია და პროგნოზიც კარგი. ამ დროს ინიშნება მედიკამენტის, კერძოდ ანტიბიოტიკის ერთჯერადი დოზა, ან ხუთდღიანი კურსი, რის შემდეგაც როგორც წესი, დაავადება იკურნება.

მაგრამ, სამწუხაროდ, პაციენტების 25%-50%-ში დაავადება მეორდება. თუ ცისტიტის ეპიზოდები განმეორდა წელიწადში სამჯერ და მეტჯერ, ან ბოლო 6 თვეში ორჯერ და მეტჯერ, მაშინ უკვე საქმე გვაქვს ქრონიკულ, მორეციდივე დაავადებასთან, რომლის მკურნალობა ბევრად რთულია და პროგნოზიც – უარესი.

სანამ უშუალოდ სამკურნალო რეკომენდაციებს მივცემდე მკითხველს, მინდა გავაფრთხილო, რომ **კატეგორიულად დაუშვებელია თვითმკურნალობა, განსაკუთრებით დაავადების მორეციდივე ფორმების დროს!** სამწუხაროდ, მოსახლეობაში, და ეს განსაკუთრებით ქალებს ეხება, გავრცელებულია პრაქტიკა მედიკამენტების თვითნებურად მიღებისა, რაც ძალიან მავნეა და საბოლოოდ დიდ პრობლემებთან მივყავართ.

გახსოვდეთ: **წინა მკურნალობიდან მორჩენილი, აფთიაქის გამყიდველის მიერ შერჩეული, მეგობარს, ან მეზობელს რომ მოუხდა იმ წამლების დალევა არ შეიძლება!** როგორც უკვე ვთქვი, კვლევები, რომლებიც ამ დროს არის საჭირო, ქვეყანაში ხელმისაწვდომია და იაფი ღირს, არც სპეციალისტის კონსულტაციაა ძნელი დასაგეგმი, ყველა საჭირო მედიკამენტი საქართველოშია, ამიტომ დაავადება აკადემიურად უნდა იყოს ნამკურნალები!

თუ თქვენი ინფექცია „დაბრუნდა“ სამ თვეზე მოკლე ინტერვალში, ეს ნიშნავს, რომ რამდენჯერაც არ უნდა იმკურნალოთ მოკლე კურსებით, ძალიან დიდი ალბათობით, ის თქვენ ისევ დაგემართებათ და მკურნალობის ტაქტიკა უნდა შეიცვალოს. ამ დროს, აუცილებელია როგორც მედიკამენტური თერაპია, ისე ხანგრძლივი პროფილაქტიკა და ცხოვრების წესის შეცვლა.

***— ბატონო არჩილ, როგორც თქვენ აღნიშნეთ, დაავადება ხშირად მეორდება და აწუხებს პაციენტებს. რას ურჩევთ ჩვენს მკითხველს, როგორ არის შესაძლებელი მისი პროფილაქტიკა და რა უნდა გააკეთოს პაციენტმა, რომ შეამციროს რეციდივის რისკი?***

— დიახ, სამწუხაროდ, საშარდე გზების ინფექცია ხშირად რეციდივირებს და შეიძლება სიცოცხლე გაუმწაროს პაციენტს. პროფილაქტიკური ღონისძიებებიდან პაციენტებს, განსაკუთრებით ქალებს, შემიძლია ვურჩიო შემდეგი:

- თუ პირადი ჰიგიენისთვის რეგულარულად იყენებთ აბაზანას, შეწყვიტეთ და გადადით შხაპზე, ეს შეამცირებს ინფექციის შეჭრის შესაძლებლობას თქვენს ორგანიზმში (შარდის ბუშტსა და საშვილოსნოში);
- არ გადაავსოთ თქვენი შარდის ბუშტი და მოშარდეთ მოთხოვნილებისთანავე, ბოლომდე;
- არ იხმაროთ ტუალეტის ქაღალდი, დაიბანეთ გენიტალიები გამდინარე, თბილი წყლით;
- სქესობრივი აქტის შემდეგ დაუყოვნებლივ დაცალეთ შარდის ბუშტი! ეს რეკომენდაცია განსაკუთრებით აქტუალურია იმ პაციენტებისათვის, ვისაც ცისტიტი უმწვავდება სქესობრივი აქტის შემდეგ;
- ატარეთ ბამბის თეთრეული სინთეტიკის ნაცვლად;
- არ ატაროთ ძალიან ვიწრო, „შემოტკეცილი“ ჯინსი და შარვლები;

ეს რეკომენდაციები დაგეხმარებათ რეციდივებისგან დაცვაში, თუმცა, გარანტია არ არის და ექიმის დახმარება აუცილებელია.

კარგ შედეგებს იძლევა ქრონიკულ პაციენტებში დაავადების იმუნოპროფილაქტიკა სპეციალური იმუნომოდულატორი პრეპარატებით, რომლებიც ვაქცინაციის პრინციპების მსგავსად მოქმედებს და იცავს პაციენტს კონკრეტული მიკროორგანიზმებისაგან.

***— ბატონო არჩილ, ტრადიციულად, ინტერვიუს ბოლოს გთხოვთ, დაგვიანონსოთ ჩვენი შემდეგი საუბრის თემა.***

— ვფიქრობ, შემდეგი ინტერვიუს თემად შევარჩიოთ უროლოგიური პრობლემები ბავშვთა ასაკში, რაც ბევრ ჩვენს მკითხველს, განსაკუთრებით დედებს აღელვებთ და აინტერესებთ. ამ მიზნით მოვიწვევთ დარგის ერთ-ერთ ექსპერტს, ლ. მანაგაძის სახელობის უროლოგიის ეროვნული ცენტრის ბავშვთა უროლოგიის მიმართულების ხელმძღვანელს, ბატონ **ზაზა ჭანტურაიას.**

ესაუბრა
**ოთარ ტურაბელიძე**

◉ ლეგიონერი

# ზღაპრული ბითაძე




**ამერიკის ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში, მორიგი შეხვედრა გამართა გოგა ბითაძის „ორლანდო მეჯიქმა“, რომელმაც საკუთარ დარბაზში „ფინიქს სანზს“ უმასპინძლა და მეტოქე დაძაბულ ბრძოლაში 115:110 დაამარცხა.** შეხვედრა სტუმრებმა კარგად დაიწყეს და შესვენებაზე მათთვის სასურველი ანგარიშით გავიდნენ, თუმცა „ორლანდომ“ ბოლო მეოთხედი შესანიშნავად ითამაშა და 8-ქულიანი უპირატესობით მოიგო, რამაც მატჩის ბედი გადაწყვიტა. გოგა ბითაძეს ზღაპრული შეხვედრა ჰქონდა, მან 30 წუთი ითამაშა და ხსენებულ დროში 21 ქულას, 16 მოხსნასა და 4 შედეგიან გადაცემას მოუყარა თავი, რითაც მორიგი ორმაგი დუბლი შეასრულა.

შეგახსენებთ, რომ „ორლანდოს“ 17 მოგება და 9 მარცხი აქვს და აღმოსავლეთ კონფერენციის გათამაშებაში მე-3 ადგილს იკავებს. შემდეგ შეხვედრას გოგას გუნდი დღეს „მილუოკის“ წინააღმდეგ გამართავს.

◉ მეტოქე

# პატივს სცემს და ქამარს ედავება

UFC 310-ზე რუსეთელმა მებრძოლმა **მოვსარ ევლოევმა** ალჯამაინ სტერლინგი მსაჯების გადაწყვეტილებით დაამარცხა და კარიერაში მე-19 გამარჯვება მიითვალა. წარმატების შემდეგ ინგუშმა სპორტსმენმა დუელი შეაფასა და კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ **ილია თოფურიასთან** ჩხუბი სურს.

**„ორთაბრძოლა საკმაოდ დაძაბული გამოდგა, რადგან ჩემი და ალჯოს სტილი ერთმანეთს ჰგავს. საერთო ჯამში გულშემატკივარმა მშვენიერი ჭიუჭიცუს დაპირისპირება იხილა. მე ყოველთვის ერთი და იგივე კითხვას მისვამთ, ვარ თუ არა მზად სატიტულო ბრძოლისთვის. დიახ, მზად ვარ და ყოველთვის მზად ვიქნები, რადგან ილიასთან ჩხუბი მსურს. მე მას დიდ პატივს ვცემ და მისგან მხოლოდ ქამარი მინდა.“** განაცხადა ევლოევმა.

შეგახსენებთ, რომ სტერლინგთან ბრძოლამდეც ჩრდილოკავკასიელი პრესკონფერენციებზე ქართველ ჩემპიონზე საუბრობდა. მისი თქმით, ის ილიას ღამის კოშმარი იქნება.





# სტუმარ-მასპინძლობაც ასეთი უნდა

**გაზეთ „ახალი წყალტუბოს“ მიმდინარე წლის 4 აპრილის ნომერში დაისტამბა საზოგადოება „ძველი წყალტუბოელების“ გამგეობის თავმჯდომარის გელა ხუნწარიძის წერილი „თქვენი დარგული ხეები გელოდებიან“, სადაც საუბარი იყო გასული საუკუნის 60-იანი წლების წყალტუბოს ახალგაზრდობის იმ წარმომადგენლებზე, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართული კალათბურთის განვითარებაში. ავტორი განსაკუთრებული სითბოთი იგონებდა კვიციანების სპორტული ოჯახის ღირსეულ წარმომადგენელს, საქართველოს ახალგაზრდა კალათბურთელთა ნაკრების წევრს, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორს ლეილა კვიციანს, რომელსაც თბილისში სწავლის, ცხოვრებისა და საქმიანობის მიუხედავად, მშობლიურ ქალაქთან კავშირი არასოდეს გაუწყვეტია.**



წერილის დასკვნით ნაწილში ბატონი გელა არაპირდაპირი ფორმით ეპატიჟებოდა სიყრმის მეგობარს – ამაყად იარეთ მშობლიურ წყალტუბოში, სადაც თქვენი დარგული ხეები გელოდებიანო!

ვინც გელა ხუნწარიძის დაუდეგარ ბუნებას იცნობს, იფიქრებდა, რომ ამ ისტორიას აუცილებლად მოჰყვებოდა გაგრძელება და ისე აგისრულდეთ საახალწლო სურვილები, როგორც ჩვენი ვარაუდი გამართლდა.

2024 წლის 27 ნოემბერს, წყალტუბოს ცენტრალური ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში გაიმართა წარმომადგენლობითი შეხვედრა ლეილა კვიციანთან, რომელმაც, უსამართლოდ მივიწყებულ სიტყვათშეთანხმებას თუ გამოვიყენებთ, ურთიერთგაგების ატმოსფეროში ჩაიარა. ყოველგვარი პათეტიკის გარეშე უნდა ითქვას, რომ ეს იყო სტუმარ-მასპინძლობის ისეთი დემონსტრირება, რომელსაც დანატრებულია ტრადიციების ერთგული ქართველი საზოგადოება. გვიანი შემოდგომის მიუხედავად, დარბაზში იგრძნობოდა ვარდის სურნელი და გარემო პლატონური სიყვარულის ღვთიური მადლით იყო გაცისკროვნებული.

საზოგადოება „ძველი წყალტუბოელების“ მიერ ორგანიზებულ ღონისძიებას, ჩვეული კვალიფიციურობით უძღვებოდა მერიის კულტურის ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე ლილი გელენიძე, ხოლო მრავალფეროვნებას მატებდა გელა ხუნწარიძის ემოციური წიაღსვლები, მხატვრული კითხვის ახალგაზრდა ოსტატებთან ერთად.

დამსწრე საზოგადოება კმაყოფილებით შეხვდა მუნიციპალიტეტის მერიის გადაწყვეტილებას, ლეილა კვიციანის სახელობის თასის დაარსების თაობაზე, რაც კალათბურთის პოპულარიზაციის პარალელურად, ხელს შეუწყობს სპორტის ამ ელეგანტური სახეობით დაინტერესებული ახალგაზრდების მოტივაციის ამაღლებას. აქვე გამოვთქვამთ იმედს, რომ გადაწყვეტილების მიმღები პირები მერიაში, გაითვალისწინებენ საზოგადოება „ძველი წყალტუბოელების“ თხოვნას, ლეილა კვიციანისთვის წყალტუბოს საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით. მიგვაჩნია, რომ ასეთი შთამბეჭდავი ბიოგრაფიისა და დამსახურების მქონე ჩვენი თანაქალაქელი, უპირობოდ უნდა იკავებდეს ადგილს იმ ადამიანთა გვერდით, რომლებიც წარსულში ქმნიდნენ და დღესაც ქმნიან წყალტუბოს ისტორიას.

ფიგურალურად თუ ვიტყვით, არც ქალბატონი ლეილა დარჩენილა ვალში თანაქალაქელთა წინაშე. მისასალმებელია, რომ მისი კეთილი ნებით, სპორტულ ასპარეზობებში მიღებული ჯილდოები გადაეცემა მშობლიურ ქალაქს და მუდმივი ექსპოზიციის სახით გამოიფინება წყალტუბოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

არ გავაპროტესტებ, კომპლიმენტად თუ ჩამეთვლება, მაგრამ მთელი გულწრფელობით შემიძლია დავადასტურო, რომ ლეილა კვიციანი გახლავთ დარბაისელი ქართველი ქალის კრებსითი სახე, აწონილი სიტყვა-პასუხითა და ქცევის დახვეწილი მანერებით. ჩემი სუბიექტური მოსაზრებით, კალათბურთს იმიტომაც შეარქვეს მეტსახელად მსოფლიოს მერვე საოცრება, ქალბატონი ლეილას მსგავსი ვირტუოზები სასწაულებს რომ ახდენდნენ, მაყურებლით გადავსებულ სპორტულ დარბაზებში.

თქვენი მონა-მორჩილისთვის დიდი პატივი იყო, მივსალმებოდი და პირადად გამეცნო ღირსეული თანაქალაქელი, რომელიც ოჯახის წევრების თანხლებით ეწვია მშობლიურ წყალტუბოს. შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობის მქონე პენსიონერმა, რაკი სხვა ვერაფერი მოვახერხე, ახლახანს გამოცემული ჩემი პუბლიცისტური წერილების კრებული ვუსახსოვრე საპატიო სტუმარს, გულწრფელი ავტოგრაფით...

ღმერთმა უმრავლოს მრავალჭირნახულ, მაგრამ გაუტეხელ საქართველოს თქვენისთანა მამულიშვილები, ქალბატონო ლეილა. მინდა, გჯეროდეთ, ეს მოკრძალებული წერილი იმ ჯანსაღი ემოციის გამოძახილია, ხანგრძლივი დროით რომ გაგვყვება 27 ნოემბრის დაუვიწყარი საღამოს თითოეულ მონაწილეს.

**თეიმურაზ ჯანელიძე,**
**გაზეთ „ახალი წყალტუბოს“ საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორი.**

◉ ორიოდე სიტყვით

**ძიუდო**

**იაპონია. ძიგარო კანოს სახელობის ტოკიოს უპრესტიჟულესი**



**გრანდ სლემი. ვერცხლი – ლუკა მაისურაძე.** შეგახსენებთ, რომ 90 კილოში მსოფლიოს ჩემპიონი ტატამს დისკვალიფიკაციის შემდეგ სწორედ ძიუდოს სამშობლოში დაუბრუნდა და ორი მასპინძლის დამარცხების შემდეგ ფინალური ბრძოლა შიდოებით დათმო, თანაც დამატებით დროში, ასევე იაპონელ სანშირო მურაოსთან.

**ფიგურული სრიალი**

**გრენობლი (საფრანგეთი). გრან პრის ფინალური ტურნირი. სპორტული წყვილები. ბრინჯაო – ანასტასია მეტელკინა – ლუკა ბერულავა.** აღსანიშნავია, რომ ასეთი მაღალი რანგის ასპარეზობაზე საქართველო წყვილთა თანრიგში პირველად იყო წარმოდგენილი, მეორეადგილოსანი იაპონელები კი თავისუფალ პროგრამაში სამჯერ(!) დაეცნენ ყინულზე, მგარამ მსაჯებმა ისინი მაინც ჩვენზე წინ დააყენეს.

**ფარიკაობა**

**ეროვნული ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა. ახალი ოთხწლიანი ვადით პრეზიდენტის თანამდებობა მერაბ ბაზაძემ შეინარჩუნა. ვიცე-პრეზიდენტები:** ზაზა მჭედლიძე, ვარლამ ჯაში. **გენერალური მდივანი**: ნინო ჯერენაშვილი. **გამგეობა**: მერაბ ბაზაძე, ზაზა მჭედლიძე, როსტომ აბაშიძე, მალხაზ ძნელაძე, თათა აფციაური, სერგი ხატიაშვილი, ქრისტინა გორდეზიანი. იქვე ითქვა, რომ გაისად საქართველო სენიორთა, ხოლო 2026 წელს ვეტერანთა მუნდიალებს უმასპინძლებს.

**ჰოკეი**

**2025 წლის თებერვალში პირველად გაიმართება ნჰლ-ის მიერ ორგანიზებული 4 ერის ტურნირი აღნიშნულ ლიგაში მოთამაშე კანადელ, ამერიკელ, ფინელ და შვედ პროფესიონალთა ნაკრებების მონაწილეობით (აშშ, წრიული სისტემა).**



**გატეტზე ხტომა**

**მსოფლიოსა და ევროპის ოთხგზის ჩემპიონი, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი რუსუდან ხოფერია პლანეტის საუკეთესო მსაჯად მესამედ(!) აღიარეს.**

## რუსეთში კეზერაშვილთან დაკავშირებული ქოლ-ცენტრები აღმოაჩინეს



**რუსეთის უშიშროების ფედერალურმა სამსახურმა საქართველოს თავდაცვის ყოფილ მინისტრთან დავით კეზერაშვილთან დაკავშირებული ქოლ-ცენტრები დახურა, – ინფორმაციას რუსული მედია ავრცელებს.**

მათი მტკიცებით, უკანონო ქოლ-ცენტრების საქმიანობის შედეგად 50-ზე მეტ ქვეყანაში 100 ათასი ადამიანი დაზარალდა. რუსეთში განთავსებული ქოლ-ცენტრების დღიური შემოსავალი 1 მილიონ დოლარს შეადგენდა.

„უსაფრთხოების ფედერალურმა სამსახურმა საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრის და კომპანია „მილტონ-გრუპის“ დამფუძნებლის, დღესდღეობით დიდ ბრიტანეთში მცხოვრები დავით კეზერაშვილის ინტერესებში მომუშავე ქოლ-ცენტრების საერთაშორისო ქსელის უკანონო საქმიანობა აღკვეთა“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

ქოლ-ცენტრების საქმიანობის შედეგად დაზარალდნენ ევროკავშირის, დიდი ბრიტანეთის, კანადის, ბრაზილიის, ინდოეთის, იაპონიისა და სხვა ქვეყნების მოქალაქეები.

უშუალოდ, რუსეთში ქოლ-ცენტრების ხელმძღვანელები ისრაელისა და უკრაინის ორმაგი მოქალაქეობის მქონე ვინმე კესელმანი და ისრაელისა და საქართველოს ორმაგი მოქალაქეობის მქონე ვინმე ტოდვა იყვნენ. კესელმანი დაკავებულია, ხოლო ტოდვაზე ძებნაა გამოცხადებული. საერთო ჯამში, რუსეთში ქოლ-ცენტრების საქმეზე 11 ადამიანია დაკავებული.

## ადეიშვილს პოლიტდევნილის სტატუსი მოუხსნეს

**ზურაბ ადეიშვილს უნგრეთმა პოლიტიკური თავშესაფრის სტატუსი მოუხსნა. „რუსთავი 2-მა“ მოიპოვა წერილი, რომელშიც უნგრეთის პოლიციის უცხო ქვეყნის მოქალაქეების საქმეების სამმართველო წერს, რომ საქართველოს ყოფილ გენ პროკურორს პოლიტიკური დევნილის სტატუსი 2024 წლის 4 ოქტომბერს მოუხსნეს.**



ამავე წერილის მიხედვით, უნგრეთის მთავრობისთვის ზურაბ ადეიშვილის ამჟამინდელი ადგილსამყოფლის შესახებ ინფორმაცია უცნობია.

## ართვინის პროვინციაში შავი ზღვის სანაპირო ზოლთან მეწყერი ჩამოწვა



**ართვინის პროვინციაში შავი ზღვის სანაპირო ზოლთან მიმდებარე საქალაქთაშორისო მაგისტრალზე, 250 კვმ-ზე მეწყერი ჩამოწვა. შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს გაწმენდითი სამუშაოები. მიუხედავად იმისა, რომ ამ მომენტისთვის საფრთხე ლოკალიზებულია. ადგილობრივი მთავრობის განცხადებით არსებობს შემთხვევის განმეორების რისკი. მგზავრებსა და მოქალაქეებს სიფრთხილისკენ მოუწოდებენ.**

## ბათუმში მოძალადეები დააკავეს

**შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ბათუმში ჯგუფურად ჩადენილი ძალადობის ბრალდებით, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, 5 პირი დააკავეს.**



შსს-ს ინფორმაციით, დაკავებულები არიან: 1978 წელს დაბადებული მ.ჯ., 2004 წელს დაბადებული გ.მ., 2003 წელს დაბადებული დ.გ., 2002 წელს დაბადებული გ.დ. და 2004 წელს დაბადებული ა.კ.

მათივე ცნობით, დანაშაული 2 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 3 დეკემბერს, ბათუმში გამართული საპროტესტო აქციის ფარგლებში, აქციის მონაწილეთა ჯგუფი ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში შევიდა რექტორის სამუშაო ოთახთან ბანერის გაკვრის მიზნით, აღნიშნულის საშუალება არ მისცა ამავე უნივერსიტეტის ლექტორმა, 1981 წელს დაბადებულმა თ.ც.-მ. რის გამოც, ამავე უნივერსიტეტის დეკანმა – 1978 წელს დაბადებულმა მ.ჯ.-მ თ.ც.-ს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.

გამოძიებით ასევე, დადგინდა, რომ 1978 წელს დაბადებული მ.ჯ. და მისი სტუდენტები მოგვიანებით თ.ც.-ს მეუღლეს – 1975 წელს დაბადებულ ი.დ.-ს და მის მეგობარს – 1977 წელს დაბადებულ ი.ნ.-ს უნივერსიტეტის შენობაში ფიზიკურად გაუსწორდნენ.

პოლიციამ ბრალდებულები მოსამართლის განჩინების საფუძველზე დააკავა.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი პრიმა ნაწილით მიმდინარეობს.

## შემზარავი მკვლელობა

### პროკურატურამ უცხო ქვეყნის ოთხი მოქალაქის განზრახ მკვლელობის ფაქტზე ასევე უცხო ქვეყნის ორ მოქალაქეს ბრალდება წარუდგინა

**საქართველოს პროკურატურამ ჯგუფურად ჩადენილი, ოთხი პირის განზრახ მკვლელობის და ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგოდ შეძენა, შენახვა, ტარების ფაქტზე უცხო ქვეყნის ორ მოქალაქეს ბრალდება წარუდგინა.**

როგორც უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, 7 დეკემბერს, ბათუმში, ბრალდებულები მივიდნენ ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში, სადაც ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეები იმყოფებოდნენ და ცეცხლსასროლი იარაღებიდან მრავალჯერადი გასროლით 4 პირს ჭრილობები მიაყენეს.

მიყენებული დაზიანებების შედეგად სამი ადგილზე, ხოლო ერთი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ბრალდებულები იმავე დღეს დააკავეს. მათ ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „ი“ და „ლ“ ქვეპუნქტებით (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში, ჩადენილი ჯგუფურად ორი ან ორზე მეტი პირის მიმართ) და 236-ე მუხლის მეექვსე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა და ტარება, ჩადენილი ჯგუფურად) წარედგინათ, რაც სასჯელის სახედ და ზომად 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე ბათუმის საქალაქო სასამართლომ ბრალდებულებს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

## არდავიწყება

### სამურზაყანოს საამაყო შვილი ნიკოლოზ თოდუა – 100



**ნიკოლოზ თოდუა** გალის რაიონის რჩეულ შვილთა განსაკუთრებული წარმომადგენელია. გამორჩეული შრომითი და ყოფითი ბიოგრაფიის მქონე ამ სანიმუშო ადამიანმა ნათელი კვალი დატოვა რაიონისა და აფხაზეთის მოსახლეობაში.

ეს პატარა წერილი, რომელსაც ხელს აფხაზეთის ინტელიგენციის ცნობილი წარმომადგენლები, მისი მეგობრები და ახლობლები აწერენ მისივე დაბადებიდან საუკუნის თავზე, გულწრფელი სამადლობელია მისი ღვაწლისა ერისა და სამშობლოს წინაშე.

დაიბადა 1924 წელს გალის რაიონის სოფელ ოტობაიაში. შეგნებული ცხოვრებისთვის მყარი საფუძველი მშობლიური სკოლის სრული კურსის წარჩინებით დამთავრებით შექმნა. განათლების შემდგომი საფეხურის დაძლევას მოწყურებული ჭაბუკი ჯერ ამთავრებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უმაღლეს პარტიულ სკოლას, ხოლო მოგვიანებით, 1969 წელს კი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტს და ღებულობს ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაციას.

შეგნებული ცხოვრების ხუთწლიანი პერიოდი (1942-47 წწ.) კი საბჭოთა არმიაში სამსახურსა და დიდ სამამულო ომში მონაწილეობას მიუძღვნა.

მოწინავე და ქვეყნისათვის საიმედო ახალგაზრდას, გალის რაიონის ახალგაზრდობის ხელმძღვანელობა ანდეს (1947-49 წწ.) – ის იყო საქართველოს კომკავშირის გალის რაიონული კომიტეტის თვალსაჩინო ლიდერი.

უფრო საპასუხისმგებლო მისიაც ანდო მას ქვეყანამ და, მისი უნარი ავსტრიაში (ვენა) საერთაშორისო საკონტროლო კომისიაში სამსახურშიც გამოსცადა, რასაც თავი ბრწყინვალედ გაართვა.

დიდი ამაგი დასდო მშობლიური გალის რაიონის აღორძინებას ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის დირექტორის, საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო საბჭოს თავმჯდომარისა და საქსოფლქიმიის გალის რაიონული გაერთიანების მმართველის პოზიციებზე.

განსაკუთრებით გამოვლინდა მისი უნარი, როგორც ნიჭიერი ხელმძღვანელისა, გალის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პოსტზე.

შრომითი საქმიანობის შემდგომი ათწლიანი პერიოდი სახალხო მეურნეობის განსაკუთრებულ უბანზე – მზიურის მეციტრუსეობის მეურნეობის ხელმძღვანელის თანამდებობაზე გაატარა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს დეპუტატობა მისი შრომითი ბიოგრაფიის მნიშვნელოვანი ფურცელია.

დარჩა ერთგულად აფხაზეთისა. ფეხი არ მოუცვლია მშობლიური სამურზაყანოდან. ბოლომდე გახარჯა საკუთარი ენერგია ხიდჩატეხილობის დასაძლევად.

საზედიანოს სიყვარულს კი საკუთარივე უკვდავი პოემა ,,ჩემი სამურზაყანო“ გვირგვინად დაადგა...

მისი მოღვაწეობის ყველა უბანი განსაკუთრებულია და მასში განივთებულია ქართულ-აფხაზური ურთიერთობის ყველა დეტალი.

ვერ წარმოედგინა საქართველო უაფხაზეთოდ და საქართველოს ეს წალკოტი – უაფხაზებოდ. საკუთარი ღვაწლით დიდი ამაგი დასდო ქართულ-აფხაზური ურთიერთობის მოგვარების საქმეს.ამ ურთიერთობის მოუგვარებლობის დარდი კი მარადიულ წუთისოფელში გაჰყვა...

ამ სანიმუშო ადამიანის მოღვაწეობა ნათელი მაგალითია ქვეყნის ერთგულებისა და მისთვის კეთილი სამსახურის გაწევისა...

,,ჭკვიანი კაცის საქციელი გადამდებია, მაგალითის ძალა აქვსო“,ბრძანებს ქართული კლასიკის ცნობილი ავტორი.

ნიკოლოზ თოდუასნაირი კაცების ცხოვრებაც ჭეშმარიტად ჯდება ამგვარი ნორმების რიცხვში...

**ბაკურ გულუა, პავლე ქვაჩახია, ვახტანგ ყოლბაია, რუდიკ ცატავა, მოგელი ზუხბაია, ოთარ შონია, თამაზ ხუბუა,დალილა ხორავა,როსტომ გამისონია, ოთარ აკიშბაია, თენგიზ კვირტია, გია ზარანდია, ანზორ ბუკია, ზურაბ ბუკია.**

# ნოტრდამის გახსნაზე ხატია ბუნიათიშვილმა დაუკრა

**პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის გახსნის ცერემონიაზე ხატია ბუნიათიშვილმა დაუკრა. ქართველმა პიანისტმა ღონისძიებაზე მარჩელობახის „ადაჟიო" შეასრულა. გამოსვლის ვიდეო ბუნიათიშვილმა საკუთარ ფეისბუქ გვერდზე გამოაქვეყნა.**

პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი 2019 წელს ხანძრის შედეგად დაზიანდა. 5-წლიანი რესტავრაციის შემდეგ კი 2024 წლის 7 დეკემბერს ტაძარი ხელახლა გაიხსნა. გახსნის ცერემონიას 50-მდე ქვეყნის მეთაურები ესწრებოდნენ, მათ შორის იყო საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი.




# რობოტი ადამიანს მაინც ვერ ჩაანაცვლებს!..

**წარმოუდგენელი ტექნოლოგიური განვითარების ფონზე, ხელოვნური ინტელექტის არსებობა მუსიკალურ ინდუსტრიაში, სიახლეს ნამდვილად არ წარმოადგენს. ახლახან, სიმფონიურ ორკესტრს რობოტი შეუერთდა და ჩელოზე დაუკრა. მკვლევრისა და კომპოზიტორის, ფრედერიკ გრანის მიერ დაპროგრამებულმა რობოტმა Malmo Symphony Orchestra-სთან ერთად, შვედი კომპოზიტორის, იაკობ მულრადის ნაწარმოები შეასრულა.**

„გრანი ორ ინდუსტრიულ რობოტ მკლავზე მუშაობდა, რომელთაც ჩელოს დაკვრა უნდა შესძლებოდა და ვიფიქრე, რომ ეს ძალიან საინტერესო იქნებოდა ეს ინსტრუმენტი იმდენად რთულია, რომ ცნობისმოყვარეობამ შემიპყრო, რათა გამეგო, თუ როგორ მუშაობდა ის რეალურად", – აცხადებს მულრადი და დასძენს, რომ ხელოვნური ინტელექტითა და რობოტებით ადამიანის სრულად ჩანაცვლება შეუძლებელია.



# უცნაური წყვილი

**ფილადელფიაში 100 წლის კაცმა და 102 წლის ქალმა იქორწინეს!**

გამოცემის ცნობით, ამ ნაბიჯით ისინი მსოფლიოში ყველაზე უხუცესი ცოლ-ქმარი გახდნენ.

როგორც უცხოური მედია ავრცელებს. ლიტმანმა და ფიტერმანმა ერთმანეთი კოსტიუმების წვეულებაზე გაიცნეს. მოგვიანებით კი აღმოაჩინეს, რომ ისინი პენსილვანიის უნივერსიტეტში ერთსა და იმავე დროს სწავლობდნენ, თუმცა იმ დროს ერთმანეთს არ შეხვედრილან.



**უცხოური ვალუტის კურსი:**
**აშშ დოლარი - 2.7938; ევრო - 2.9564;**
**ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.6077;**
**100 რუბლი - 2.8091; თურქული ლირა - 0.0802;**
**აზერბაიჯანული მანათი - 1.5694;**
**1000 სომხური დრამი - 7.0020.**




# წიგნის კითხვა – ბილ გეითსის წარმატების სიმბოლო

**ბილ გეითსი დარწმუნებულია, რომ შესაძლოა, მილიარდერი ვერ გამხდარიყო, თანამედროვე სამყაროში რომ გაზრდილიყო, სადაც ბავშვებს მუდმივად აქვთ წვდომა სმარტფონებსა და სოციალურ ქსელებზე, წერს CNBC.**

მიკროსოფტ-ის თანადამფუძნებელმა, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა კომპიუტერებისა და ინტერნეტის პოპულარიზაციაში, განმარტა, რომ მისი წარმატება შეუძლებელი იქნებოდა ბავშვობაში ფიქრის, კითხვასა და სამყაროს შესწავლის დროის გარეშე.

„როდესაც ვგრძნობდი შფოთვას ან მოწყენილობას, ჩემს ოთახში ვიკარგებოდი და წიგნებში ან იდეებში ვიძირებოდი, ხშირად საათობით, შესვენების გარეშე", – წერს გეითსი თავის ბლოგზე.

მან ხაზგასმით აღნიშნა: „დასვენების დრო ჩემთვის ღრმა რეფლექსიად და სწავლად გადაქცევის უნარი გახდა ფუნდამენტური ნაწილი იმისა, თუ ვინ ვარ. ეს ასევე გადამწყვეტი იყო შემდგომში ჩემი წარმატებისთვის".

გეითსმა რეკომენდაცია გაუწია ჯონათან ჰაიდტის წიგნს „თაობის შფოთვა", რომელიც აანალიზებს სმარტფონებისა და სოციალური ქსელების გავლენას ბავშვების ფსიქიკაზე. ავტორი ამტკიცებს, რომ ეს ტექნოლოგიები არა მხოლოდ აზარმაცებს ტვინს, რამედ იწვევს ფსიქიკური ჯანმრთელობის კრიზისს, განსაკუთრებით მარტოობისა და დეპრესიის ზრდას.

**მან ასევე აღნიშნა, რომ თანამედროვე ტექნოლოგიები ხელს უშლის ღრმა აზროვნების უნარს, რომელიც ოდესღაც ინოვაციური იდეების შთაგონება იყო.**

კარიერის განმავლობაში გეითსმა არაერთხელ გაუსვა ხაზი კითხვის ჩვევებს და თვითიზოლაციას, როგორც მისი მიღწევების მამოძრავებელ ძალას.

1990-იან წლებში ის ყოველწლიურად ატარებდა „რეფლექსიის კვირას" – იგი იზოლირებული იყო უდაბნოში, ქოხში წიგნებისა და ტექნიკური დოკუმენტაციის გროვით.

„მიძღვნილი ვიყავი უწყვეტი კონცენტრაციისთვის", – წერს გეითსი.

გეითსი აღნიშნავს, რომ ინტენსიური ფოკუსირების უნარი საშუალებას აძლევს მსოფლიოს, მიაღწიოს გარღვევებს.

# პირველი ადამიანი, ვისაც სახე წარმატებით გადაუნერგეს, ქორწინდება

**2018 წლის ივლისში ჯო დიმეოს, ღამის მორიგეობის შემდეგ საჭესთან ჩაეძინა, მანქანა ღობეს შეეჯახა და ცეცხლი გაუჩნდა. ორმა მამაცმა თვითმხილველმა დიმეო ცეცხლწაკიდებული მანქანიდან გამოიყვანა, მაგრამ მისი სხეულის 80% მესამე ხარისხის დამწვრობამ დააზიანა.**

მამაკაცი მედიკამენტოზურ კომაში მოათავსეს და 20-ზე მეტი რეკონსტრუქციული ოპერაცია გაუკეთეს.

2020 წლის აგვისტოში, 26 წლის ჯო გახდა პირველი ადამიანი ისტორიაში, რომელსაც გადაუნერგეს სახე და ორივე ხელი. ოპერაცია დაახლოებით 23 საათს გაგრძელდა და წარმატების იმედი მხოლოდ 6% იყო.

ჯოს ისტორიის გაცნობის შემდეგ, 33 წლის ჯესიკა კობიმ მას სოციალურ ქსელში მესიჯი მისწერა.. მალე მათი მიმოწერა რომანტიკულ ურთიერთობაში გადაიზარდა და საბოლოოდ ქალი თავის რჩეულთან, ნიუ ჯერსიში გადავიდა.



დიმეომ ცოტა ხნის წინ ნიშნობის შესახებ განაცხადა. მან სოციალურ ქსელში გაავრცელა თავისი, კობის და მათი ძაღლების – ბოსტონ ტერიერის ფოტოები წარწერით: „მნიშვნელოვანი რამ მოხდება 5 დეკემბერს".

სხვა ფოტოზე კობის ხელზე ნიშნობის ბეჭედი ჩანს.

პატარძალმა სასიხარულო ამბავი ასეთი სიტყვებით გააზიარა: „მგონი მე ვარ ის, ჯო, ვისაც სჭირდები. მან შემომთავაზა ცოლობა და მე ვუთხარი დიახ! ერთი სული მაქვს ჩვენს ქორწილამდე".

# თვითმართვადი სატვირთო მანქანა

**იაპონიაში თვითმართვადი სატვირთო მანქანების გამოცდა დაიწყო, რათა ასეთი მანქანები ჩქაროსნულ გზებზე 2026 წლის აპრილიდან გამოიყენონ. ამის შესახებ NHK იტყობინება.**

„ეს არის ტესტირების პირველი რაუნდი, ამიტომ გვინდა გამოვავლინოთ პოტენციური პრობლემები. ასევე გვინდა განვსაზღვროთ რა სირთულეებია", – განაცხადა იაპონიის ტრანსპორტის სამინისტროს წარმომადგენელმა კიტაჯო ტაკაფუმმა.




როგორც უცხოური მედია წერს, სატვირთო მანქანების მძღოლების დეფიციტმა, მთავრობა და კომპანიები იძულებული გახადა, „უპილოტო ალტერნატივაზე" ეფიქრათ.

უპილოტო ტვირთის ტრანსპორტირება თავდაპირველად ტოკიოსა და ოსაკას შორის იგეგმება.

საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი,**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

დამკაბადონებელი
**გიორგი მახარაშვილი.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი**

**მისამართი:**
თბილისი. აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

იბეჭდება სტამბა
„კოლორში"
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 616932

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 13 დეკემბერს**